

ლიტერატურული გაზეთი

№97 31 მაისი - 6 ივნისი 2013

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

არჩილ ქიქოძე

ჩიტის და კაცის ამბავი

1. მეფე

ციხის უკანასკნელ გოდოლზე ასულს უკლებლივ ყველა ბავშვი ხაფანგში გამომწყვდეული გვხვდება. აქედან აღარსადა აქვთ გასაქცევი. მასწავლებლებს მოუხერხებიათ და პატარა, ბალახმოდებულ სწორ ალაგზე შეუქუჩებიათ. მანამდე აღმართზე სულ ჟივილხივით გვეწოდნენ, „შელო!“ — გვესალმებოდნენ ხელის აწევით, ვინც ციცაბო ბილიკზე როგორღაც გვერდს გვიქცევდნენ და ზევით მიიწევდნენ. „შელო!“ — მარტო ბავშვებს კი არა, იმათ

აქოშინებულ პედაგოგებსაც მეც უცხოელი ვეგონე — სანყლები... საექსკურსიოდ გამოპრანჭულები, მაღალ ქუსლებზე შემდგრები ძლივს მიიწვევენ ზევით და ცდილობენ, დანინაურებულებს ხმა მიანვდინონ, დალოდება აიძულონ, ვინ იცის, როგორ სანანებლად გაუხდათ ეს ხორნაბუჯის ციხე — სადმე არ ჩაეჩხხოთ ეს თვლით ჩაბარებული, ქარაფის თავზე მორბენალი ბავშვები. ყვირიან, ეხვეწებიან, ემუქრებიან — სულ ფუჭად... მაგათ დაეწვი? მაგათ დააოკებ?

უფრო ზევით წასასვლელი აღარც ჩვენ გვაქვს და იქვე ვეწყობით პატარა მოედნის განაპირას. საითაოდ ვიხსნი ტანზე აჩონჩხილ სამფეხას, ტელესკოპს, დურბინს და ორ ფოტოაპარატს. ბოთლი წყლის და „ქენონის“ გარდა საკუთარი არაფერი მაქვს თან. ჩემი ბებერი ინგლისელის ქონებაა — იმისი გასართობი. ამოვიდა. ვიცოდი, რომ ამოვიდოდა. გაჭირვებით, სვენებ-სვენებით, გამხმარ ბალახზე და ძეძვის ეკლიან ბუჩქებზე მოჭიდებით. ჩამიჩივით დამჭკნარს საიდან შერჩა საამისო ძალა თეთრი შორტებიდან გამოჩრილ ოჩოფეხებში? არ ვიცი, ოღონდ ვიცოდი, რომ ამოვიდოდა, ისევე როგორც ყველა სხვა ასასვლელზე ამოდიოდა ბოლო ათი დღის მანძილზე. სხვა გზა არც ჰქონდა — ეს ოღრო-ჩოღრო, მთაგორიანი ქვეყანაა, სადაც რამის ნახვა თუ გინდა, სიმაღლეზე უნდა ახვიდე... მოვეწყეთ და ბავშვებს მასწავლებლის ნაამბობზე მეტად სამფეხაზე დამაგრებული ტელესკოპი აინტერესებთ, მაგრამ გასაქცევი უკვე აღარსადა აქვთ. — რა ფრინველია? — ცისკენ ხელს იშვერს და დურბინს მანვდის ინგლისელი. ჯერ წესიერად სულიც არა აქვს მოთქმული.

— Booted Eagle (ჩია არწივი), — არ მჭირდება დურბინი, ისედაც ვცნობ, — აქედან ხშირად დამინახავს...

— მართალი ხარ... ჰგავს...

მართალი ვარ, აბა, რა?!

ბავშვებს ერთი სული აქვთ, გაიგონ, დურბინით და ტელესკოპით რას მივჩერებივართ, რას დავეძებთ. მე კი ეს თვალთვალი ყელში მაქვს უკვე ამოსული. მივწვებოდი და მივიძინებდი აქვე. მზიანი დარია, არც ცივა და არც ცხელია. სადღაც ახლოს ჭრიჭინის ხმა ისმის, დაბლა გაშლილი ალაზნის ველი და მასწავლებლის მონოტონური ხმა, რომელიც ბავშვებს წინაპრების სისხლით მორწყულ მიწაზე მოუთხრობს, სისხლის ფასად შენარჩუნებულ ქართველობაზე, რწმენაზე და ადათ-ნესზე... პედაგოგები სამნი არიან. ერთი ყვება და ორი შიშინებს. სასაცილოდ წაუქმუტუნებენ ხოლმე, როცა მოსწავლეებს მოუსვენრობის ან ჩურჩულის ტალღა გადაუვლის. გორგასალი, თამარ მეფე, სააკაძე... სულ ნაცნობი პერსონაჟები, კიდევ თემურაზ პირველს ხორნაბუჯის ციხის დილეგში ჯავახიშვილთა ფეოდალური საგვარეულოს თავკაცები ჰყოლია გამომწყვდეული. ეგ კი აღარ ვიცოდი... ნეტა, იმათ რაღა დააშავეს? ლეკიანობა და ერეკლე გმირის მონინავე ქიზიყური ლაშქარი... კახთ ბატონის ავი მუსაიფი...

და აჰა, სადღაც სულ ახლოს შევარდენმაც დაინივლა. ინგლისელი ისე გადმომხედავს, რომ ვხვდები, ხმაზე იცნო. არ არის მთლად არიფი, მაგრამ ჩიტების თვალთვალის ამბავში მაინც დილეტანტია — დამწყების დონეზეა. არის კიდევ დამწყები. მე ამ საქმის დიდოსტატებს შევხვედრივარ და მათი მეგზურობის პატივიც მქონია. მათ დარად სრულყოფას მრავალი წელი სჭირდება. ინგლისელი ამას ვეღარ მოასწრებს — დრო არ ეყოფა. უბრალოდ, სიბერეში, პენსიაზე მყოფმა, საკუთარ თავს ჰობივით რაღაც გამოუგონა, „სვაროვსკის“ დურბინ-ტელესკოპით აღიჭურვა და თავისუფალი დრო შეივსო. ფრინველებზე მეტად თავის წარსულ საქმიანობაზე უყვარს ლაპარაკი და ასეთი ყბედი რომ არ იყოს, ვიფიქრებდი, ახლაც რამე მისიას ასრულებს და ბერდოჩერობით მხოლოდ ინიღბება-მეთქი, მაგრამ — არა... მართლა ერთობა ჩიტებით და იმ ქვეყნის ნამსხვრევების თვალთვლით, რომლის მსხვრევასაც მთელი სიცოცხლე შეაღია. რომლის დანგრევაზე ერთი აგური მანაც დადო, უფრო სწორად კი გამოაცალა და

ამით მართლა ამაყობს. „დიდი თამაშის პატარა პაიკი...“ — ასე გამეცნო ათიოდელის წინ.

შევარდენს ვერ ვპოულობთ. საიდანღაც, ჩვენ ქვევიდან, მოდის მისი ნივთი. სადღაც აქვე უნდა იყოს, ხორნაბუჯის კირქვიან კლდეებზე. აქვე, ქედის გადასწვრივ, არწივის ხეობის ციცაბოებზე, ბუდეც არის მაგათი. გაზაფხულობით, როცა მართვეები ჰყავთ გამოსაკვები, ბუდესთან შევარდნის ტრიალის ცქერას არაფერი სჯობია...

ბავშვები და პედაგოგები უკვე ტოვებენ აქაურობას. მასწავლებლები ცდილობენ, წელანდელი შეცდომა აღარ დაუშვან და ბავშვები მწყობრად, უსაფრთხოდ ჩაიყვანონ დაბლა. პირველი მთხრობელი ჩადის ზორბა ბიჭის დახმარებით და — არავინ გადამასწროს! — ყველას აფრთხილებს. გოგოები გულგრილად ჩავივლიან, ბიჭები კი თვალებით ჭამენ ინგლისელის დურბინს და სამფეხაზე დამაგრებულ ტელესკოპს. პატარა რომ ვიყავი, ჩვენს სახლში, დიდი ხის მაგიდის უჯრამში შენახული დურბინი ჩემთვისაც გასაოცარი ნივთი იყო. თვითონ ის მაგიდა იყო საოცრება — საკუთარ უჯრებში მთელ ჩემთვის ჯერაც უცნობ სამყაროს იტყევა. მგონი, სამყაროს შეცნობა მიზიდულობის ძალით დავიწყე იმიტომ, რომ პირველ გასაოცარ ნივთად მაგნიტი მახსოვს. ძლივძლივობით გამომეულ უჯრამში ნაპოვნი უზარმაზარი ნალის ფორმის მაგნიტი ისე მაგრად, ბლუჯა-ბლუჯად იწებებდა ლურსმებს, რომ აგლეჯვა მიჭირდა. მაცივრის კარსაც ყრუ ხმაურით ეკვროდა. იმავე მაცივრის ალუმინის სახელურს კი, რატომღაც, სულ არ ეტანებოდა... მიზიდულობის ძალა სინათლე მოჰყვა — მაგიდის სხვა უჯრიდან ამოღებული და ღამით მალულად საბნის ქვეშ განთავსებული ვერცხლისფერი ფანარი და ბოლოს დამოკლებული მანძილი — ტყავის ბუდეში მოთავსებული ძველი დურბინი და იმით მეზობლის ფანჯრების და სარეცხის თოკზე ჩამოქვდარი ბელურების თვალთვალი. ამ ყველაფერს სუნაც ახლდა, ძველი ხის მასიური მაგიდის უჯრებში ჩაბუდეებული შესაცნობი სამყაროს შესაყნოსი სურნელი...

მაგიდა ისევე თავის ძველ ადგილზე დგას, მაგნიტის და ფანრის ბედი არ ვიცი, სუნაც დიდი ხნის წინ დავკარგე, აი, „სვაროვსკისთან“ არგამოსაჩენი ჩემი დურბინი კი აქვეა, ხორნაბუჯის ქვეშ დაყენებული ჩემი „ლენდროვერის“ ბარდაჩოკში. იმავე ძველ ტყავის ბუდეში ბინადრობს ჩემი რეალისტი დურბინი. ჰო, მართლა რეალისტი, რადგან მატყუარა „სვაროვსკიში“ სამყარო უფრო ფერადი და ლამაზი ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია. ჩემი კიდევ ისეთია — ნალდი, ძველი და არაფერში არგასაცვლელი...

VI-VII



მწერალთა ავტორიტეტის გარემოცვაში

II-III

მკლათეკა თქუნი ოცნებებისა

VIII

«ლიტერატურული გაზეთის» ანკეფა:

გივი ალხაზიშვილი

IX

ირაკლი სამსონაძე:

«მინდოდა, დრო დამეკვყა»

XII

დალი ფანჯიკიძე:

«მეგონი, დასჯენება დაჟიმსანურე»

XIII

23-26 მაისს თბილისში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მხარდაჭერით წიგნის მე-15 საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა. მასში სამოცდაათამდე გამომცემლობა, წიგნის გამავრცელებელი კომპანია, მალაზია და საერთაშორისო ორგანიზაცია მონაწილეობდა. წლის მთავარ ლიტერატურულ მოვლენას საგამოფენო ცენტრმა „ექსპო-ჯორჯიამ“ უმასპინძლა.

ფესტივალს წინ უძღოდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული რიგით მე-3 ლიტერატურული ფორუმ-დილოგი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი გამომცემლები და ლიტერატურული აგენტები. ღონისძიების ფარგლებში არაერთი შეხვედრა, პრეზენტაცია და დისკუსია გაიმართა. ფორუმის მიზანი ქართული მწერლობის საზღვარგარეთ და უცხოური ლიტერატურის საქართველოში პოპულარიზაცია იყო. ფორუმ-დილოგის სტუმრები თბილისის წიგნის ფესტივალის გახსნასაც დაესწრნენ.

ფესტივალი ოფიციალურად კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ **გურამ ოდიშარიამ** გახსნა: „უპირველეს ყოვლისა, თითოეულ თქვენგანს ვულოცავ წიგნის საიუბილეო ფესტივალს, წიგნის დღესასწაულს. ჩვენ მწიგნობარი ვართ, წიგნებს შორის უნდა ვიყოფით და დღეს ვამაყობთ ჩვენი ლიტერატურით. სამინისტროს უმთავრესი პრიორიტეტია, რაც შეიძლება მეტმა უცხოელმა მკითხველმა გაიცნოს ქართული მწერლობის შედეგები. დარწმუნებული ვარ, ღონისძიების, პარიზის, ფრანკფურტისა და ლაიფციგის მსგავსად გრანდიოზული წიგნის ფესტივალი ორიოდ წელიწადში თბილისშიც გაიმართება და ის, უპირველესად, ადამიანების წიგნთან დაახლოებას შეუწყობს ხელს. ამ დღეებში კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულმა ფორუმ-დილოგამ ოცამდე ქვეყნის წარმომადგენელსა და გამომცემელს უმასპინძლა. დღეს ისინი ამ დიდ დღესასწაულს ესწრებიან. ვიმედოვნებთ, მათი რიცხვი გაიზრდება. გვჯერა იმისიც, რომ უფრო მეტი შედეგი დაინერგება მინაზე, რომელმაც ძალიან ბევრი გადაიტანა და ბევრი რამ აქვს სათქმელი მსოფლიოსთვის.“

წლებადღეულ ფესტივალზე გამომცემლობები ძალზე მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგნენ. დამთვალიერებელი თითოეული გამომცემლობისა თუ მალაზიის შეთავაზებებს სარეკლამო ბანერების, სტენდების, საინფორმაციო ბუკლეტების, ფლაერებისა და კატალოგების საშუალებით ეცნობოდა და წიგნების ლაბირინთში მიიკვლევდა გზას სასურველი გამომცემლებისკენ. ახალდაბეჭდილი წიგნები მე-11 პავილიონში პირდაპირ სტამბებიდან მიჰქონდათ. ლიტერატურულ სიახლითა გაცნობა საზოგადოებას პრეზენტაციების საშუალებითაც შეეძლო. ორიგინალური თუ თარგმნილი ტექსტებისა და საგამომცემლო სხვა პროექტების პრეზენტაციები დღის განმავლობაში რამდენჯერმე იმართებოდა. სხვადასხვა მწერალთან, მთარგმნელთან, გამომცემელთან შეხვედრა საგამომცემლო სტენდებთანაც იყო შესაძლებელი. წიგნის ყოველი პრეზენტაცია მწერლის ავტოგრაფის



მწერალთა ავტოგრაფების გარემოცვაში

მსურველთა გრძელი რიგით სრულდებოდა.

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ სლოგანით „მთელი მსოფლიო ჩვენ წიგნებში“ საფესტივალო დღეები ორიგინალურად დაგეგმა და შეეცადა, გერმანული, სკანდინავიური, ფრანგული და ქართული „დღეებით“, საგანგებოდ მოწვეულ სტუმართა საუბრებით, ცოცხალი დისკუსიებით მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები და შესაბამისი კულტურული სივრცეები გაეცოცხლებინა. ფესტივალის მეორე დღეს გამომცემლობამ წლის „15 საუკეთესო მოთხრობის“ პრეზენტაცია გამართა და პირველი სამი ადგილის მფლობელები გამოავლინა: ლაშა ბუღაძე მოთხრობისთვის „მგლის ცოდვა“, თამაზ მელაშვილი — „ის დღე“, ზურაბ ლეჟავა — „კუს სუბი ინდაურის ბულონის ნაცვლად“, ლაშა ბუღაძე კრებულის საუკეთესო მოთხრობის ავტორად დაასახელა კომპანია „ნიკორამა“. კომპანია „ბარამბოს“ რჩეული კი მოთხრობისთვის „დილა მთაში“ თეა თოფურია გახდა. „ჯეოსელმა“ წლის საუკეთესო მოთხრობებს შორის თონა დოღენჯაშვილის „პერსონალური ქრისტე“ გამოარჩია.

პოეტებსა და მათ მკითხველს კი გამომცემლობა „ინტელექტმა“ მოუყარა თავი. „100 ლექსის“ პრეზენტაცია მთავარ სცენაზე შედგა. ახალგაზრდა ავტორებმა ლია სტურუასა და გივი ალხაზიშვილის გვერდით მათი ლექსების დაბეჭდვა განსაკუთრებულ პატივად მიიღეს და კრებულის შემდგენელსა და რედაქტორს, ვანო ამირხანაშვილს დიდი მადლობა გადაუხადეს. ლია სტურუას „რჩეულის“ გამოცემა გამორჩეულ პროექტად დაასახელა გამომცემლობა „დიოგენემაც“.

„სიესტამ“ მთავარი სცენა პაატა შამუგას, ერეკლე დვისაძეს, თონა დოღენჯაშვილსა და მიხო მოსულიშვილს დაუთმო. იქვე გაიმართა „ელექტრონული წიგნები – lit.ge“-ს პრეზენტაცია. გამომცემლობა „პალიტრამ“ საიუბილეო „ვეფხისტყაოსანი“ შესთავაზა მკითხველს, რომელიც პოემის პირველი გამოცემიდან 300 წლის აღსანიშნავად გამოსცა. წიგნს განსაკუთრებულ ხიბლს მატებს მხატვარი რაკლი ოჩიაურის მიერ მრავალი წლის წინ შესრულებული ფართო საზოგადოების

სთვის უცნობი შესანიშნავი ილუსტრაციები.

დიდი ინტერესი გამოიწვია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გურამ ოდიშარიას კრებულის — „საგალობლები შენტის“ — პრეზენტაციამ, რომელიც გამომცემლობა „ინტელექტმა“ მოაწყო.

წელს გერმანია, ავსტრია და შვეიცარია, სლოვაკია, სამი ქვეყანა — ერთი ენა“, ერთობლივი სტენდით წარსდგნენ ფესტივალზე და ყველა ასაკის მკითხველს გერმანულენოვანი ლიტერატურის დიდი არჩევანი შესთავაზეს.

უნდა აღინიშნოს, რომ გამომცემლების დიდმა ნაწილმა საგამოფენო სივრცე „უფასო სახელმძღვანელოების“ გახმაურებულ თემასთან დაკავშირებით პოზიციის კიდევ ერთხელ გამოსახატად და საავტორო და ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასაცავად გამოიყენა და ერთობლივად წარადგინა „ინტელექტის“ მიერ გამოცემული კრებული „როგორ წავართვათ წიგნი ავტორსა და გამომცემელს“. პრობლემისადმი საზოგადოების ინტერესსზე მეტყველებდა პრეზენტაციის სტუმართა სიმრავლე და მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ხელმოწერებით აჭრელებული სტენდი „სილიდარობა სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებსა და გამომცემლებს“.

წელს პირველად თბილისის წიგნის ფესტივალის გასცდა „ექსპო-ჯორჯიას“ „საზღვრებს“ და ქალაქის თითქმის ყველა მთავარი ლიტერატურული სივრცე მოიცვა. ამ თვალსაზრისით, ფესტივალში ინტენსიურად მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა სახლი, სადაც ყოველდღიურად იმართებოდა სხვადასხვა ღონისძიება. მოეწყო მამო სამადაშვილის, ნინო კიკნაძის, თამარ ბაბუაძის, მანანა არაბულიასა და თათია ნადარეიშვილის მიერ მომზადებული კატალოგის „თბილისის წიგნის XV საერთაშორისო ფესტივალი“ პრეზენტაცია. კატალოგი წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა. იმავე საღამოს ასოციაციის მიერ გამოცხადებული კონკურსის — „ჩემი საყვარელი რომანი“ — გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ: თამარ ქაჯაია, მოლი

ბლუმი და სალომე აფხაზიშვილი დათო ტურაშვილის „ჩაძირული ქალაქის ღამის“, აკა მორჩილაძის „შენი თავგადასავალისა“ და გელა ჩქვანავას „ასეს“ შთაბეჭდილებებზე შექმნილი საუკეთესო ერთგვერდიანი ტექსტების ავტორები აღმოჩნდნენ. მწერალთა სახლი მოეწყო „საუნჯის“ მიერ გამოცემული თანამედროვე ქართველ მწერალ ქალთა ანთოლოგიის — „შავი ავაზა“ — პრეზენტაცია.

ფესტივალის ფარგლებში არაერთ საინტერესო ღონისძიებას უმასპინძლეს ლიტერატურის მუზეუმმა და ეროვნულმა ბიბლიოთეკამ. წიგნის ფესტივალი მწერალთა სახლი „პოეზიის ღამემ“ დაასრულა.

ბაკურ სულაკაური, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“: „იმდენი სიახლე გვაქვს, ჩამოთვლა გამიჭირდება. წინა ფესტივალის მერე სამასამდე წიგნი გამოუშვით. ეს არის როგორც ქართველ და უცხოელ ავტორთა პროზაული ნაწარმოებები, ისე საბავშვო წიგნები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა. ახალი გამოცემების შესახებ მომხმარებელი ჩვენი კატალოგიდან „ფესტივალთან“ შეიტყობს. მყიდველს ვთავაზობთ სხვადასხვა ფასდაკლებას წიგნებზე. გამომცემლობის სტენდთან იმართება შეხვედრები მწერლებთან, მთარგმნელებთან. ამას გარდა, გამომცემლობა მართავს წლის „15 საუკეთესო მოთხრობის“ პრეზენტაციას და ავლენს პირველ სამ გამარჯვებულ ავტორს“.



ქეთი კიდურაძე, გამომცემლობა „სიესტამ“ დირექტორი: „კულტურის სამინისტროში წელს უკვე მესამედ გაიმართა „ლიტერატურული ფორუმ-დილოგი“, რომელშიც ქართველ გამომცემლებთან, ავტორებთან და მთარგმნელებთან ერთად უცხოელი გამომცემლები და ლიტერატურული აგენტები მონაწილეობდნენ. დარწმუნებული ვარ, ასეთი შეხვედრები სამომავლოდ ძალიან დიდი შედეგს გამოიღებს და სულ უფრო მეტი ქართველი მწერლის საავტორო უფლებები გაიყიდება უცხოეთში. კულტურის სამინისტრო ამ პროცესების აქტიური მხარდამჭერია. ის აფინანსებს ქართველ მწერალთა ნაწარმოებების თარგმნას. მოგვხსენებათ, უცხოელი გამომცემლობები მათი ბაზრისთვის ნაკლებად ცნობილი ავტორების თარგმნასა და გამოცემას სიფრთხილით ეკიდებიან, რადგან ეს გარკვეულ ფინანსურ რისკებთანაა დაკავ-



შირეული. ამ შემთხვევაში კი ქართული მხარე საკუთარ თავზე იღებს თარგმანის შესრულების ხარჯებს, რაც ბევრად აადვილებს უცხოელ კოლეგებთან შეთანხმებას.

რაც შეეხება წიგნის ფესტივალს, ის უკვე იქცა მწერლებთან შეხვედრების, ახალი წიგნების პრეზენტაციების ადგილად, მომხმარებელს ტრადიციულ ფასდაკლებებს ვთავაზობთ. სიახლე ის არის, რომ ფესტივალის „ექსპო ჯორჯიას“ ფარგლებს გაცდა. ღონისძიებებისთვის ულამაზეს სივრცეებს გვთავაზობს მწერალთა სახლი, ლიტერატურის მუზეუმი, ეროვნული ბიბლიოთეკა. დიდი ხანია, გვსურდა, ფესტივალის მასშტაბები გაგვეზარდა, თუმცა ესეც გარკვეულ ფინანსებთან იყო დაკავშირებული. ახლა ამის შესაძლებლობა მოგვეცა და ეს ძალიან კარგია“.



გია ქარჩხაძე, „ქარჩხაძის გამომცემლობის“ დირექტორი: „წელსაც, როგორც ყოველთვის, ფესტივალის ძალიან კარგად, მხიარულად მიმდინარეობს. ბევრი ხალხი მოვიდა, ბევრი წიგნი იყიდება. ლიტერატურის მიმართ, ჩვეულებრივ, დიდი დაინტერესებაა. გამომცემლისთვის კი ესაა მთავარი. როგორც ყოველთვის, გვაქვს აქციები, სიახლეები. წელს ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პროექტია „საბავშვო ვეფხისტყაოსანი“. ასე რომ, ყველაფერი კარგად მიდის.“

ანა ჭაბაშვილი, გამომცემლობა „დიოგენეს“ მთავარი რედაქტორი: „ჩვენი ორი მთავარი პროექტი გახლავთ „დიოგენეს ბიბლიოთეკა“ და „ამერიკელები“.



პირველ სერიაში რვა ახალი წიგნი გამოვეცით, მეორე სერიაში ჯერჯერობით ორი წიგნია დაბეჭდილი, მომდევნო გამოცემა კი გზაშია. ფესტივალის ფარგლებში სტივენ კინგის ორი რომანის პრეზენტაციას მაღაზია „დიოგენესი“ გამართავთ. სიახლეა ლია სტურუას „რჩეული“. წარმოდგენილი გვაქვს შარშანდელი და უფრო ადრე გამოცემული წიგნები როგორც ქართველი, ისე უცხოელი ავტორებისა. ბოლოდროინდელი გამოცემებიდან დავასახელებდი ბროუდის „საიდუმლო დღიურს“ — ჩემთვის უსაყვარლეს წიგნს და ყველას ვურჩევდი მის შეძენას. სამწუხაროდ, ქართველი მკითხველი ამ ბრიტანელ ავტორს ნაკლებად იცნობს. კიდევ რამდენიმე ახალი გამოცემა გვაქვს, თუმცა მთავარი, რითიც თავს ვინაობთ, ის ლიტერატურაა, ზემოთ რომ დავასახელებ“.

გია დარსალია, გამომცემლობა „არეტეს“ დირექტორი: „ფესტივალის სტუმარს წინა წლებში გამოცემულ წიგნებთან ერთად ოთხი ახალი წიგნი შევთავაზეთ. ესენია: ოთარ ჭილაძის პოეზიის მეშვიდე ტომი, ერის მარია რემარკის „სამი მეგობარი“, რომელიც ანა კორძაია-სამადაშვილმა თარგმნა, თორნტონ უაილდერის „მეფე ლუდოვიკო წმინდას ხიდი“ და ჰარპერ ლის ლეგენდარული რომანი „ნუ მოკლავ ჯაფარას“. რამდენადაც ვიცი, აქამდე უაილდერის არც ერთი ტექსტი ქართულ ენაზე არ გამოსულა. წიგნი დებიუტანტმა გიორგი დოლიძემ თარგმნა. რაც შეეხება „ნუ მოკლავ ჯაფარას“, იგი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოიცა ქართულად. წიგნის ხარისხი იმ მძიმე წლების შესაფერი იყო. ახალ გამოცემაში ისევ ანა მაყაშვილის არჩევულებრივი თარგმანი გამოიყენეთ. ძალიან კარგი წიგნი გამოვიდა“.

რუსუდან მოსიძე, გამომცემლობა „ბაკმის“ მთავარი რედაქტორი: „ვგარძელებთ სერიას „განძი რჩეული“. წელს მკითხველს წარვუდგინეთ „წმიდაი ოთხთავი“. ეს ძველი მინიატურებით დამშვენებული პირველი ქართული ფერადი სახარება გახლავთ. სერია „საბავშვო ბიბლიოთეკა“ უკვე სრულად გამოვეცით და წლებადღეს ფესტივალზე სერიის ოცდაათივე წიგნი ძალიან დიდი ფასდაკლებით იყიდება“.

გიორგი კაკაბაძე, გამომცემლობა „პეგასის“ მთავარი რედაქტორი, კრიტიკოსი: „ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ფესტივალზე გამოვიტანეთ, კაფკას მოთხრობების კრებულია — ყველაზე სრული ქართულენოვანი კრებული. სპეციალურად ამ გამოცემისთვის ოცზე მეტი მოთხრობა ითარგმნა. შევეცადეთ, საუკეთესო მთარგმნელები შეგვერჩია. წიგნი დანა და ნოდარ კაკაბაძეების თარგმანით იწყება. ნოდარ კაკაბაძეს ეკუთვნის ძალზე საინტერესო წინასიტყვაობაც, რომელშიც კაფკას ორი მოთხრობაა ჩართული. მიუხედავად იმისა, რომ მწერალს ანტიკომუნისტური ტექსტები არასოდეს შეუქმნია, საბჭოთა პერიოდში მისი გამოცემა იკრძალებოდა. კაკაბაძეები მაინც ცდილობდნენ, რაიმე ხერხით წინ აღდგომოდნენ ამ აკრძალვებს და ახერხებდნენ კიდევ. ეს წინასიტყვაობა ამის თვალსაჩინო მაგალითია. მთარგმნელი კაფკას შემოქმედებას განიხილავს და ვითომც არაფერი, მაგალითისთვის, მის ორ მოთხრობას ურთავს. 2013 მწერლის საიუბილეო წელი გახ-



ლავთ, მისი დაბადებიდან ასოცდაათი წლის აღსანიშნავად ამ კრებულის გამოცემა ძალიან მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენად მიგვაჩნია. ასევე გამოვეცით ჩარლზ დიკენსის „საშობაო სიმღერა“, რომელშიც ნაწარმოების პირველი გამოცემის ილუსტრაციებია გამოყენებული. მოგეხსენებათ, შარშან დიკენსის საიუბილეო წელი იყო, ჩვენ ეს თარიღი ასე აღვნიშნეთ.

„პეგასი“ მკითხველს თანამედროვე ავტორების წიგნებსაც სთავაზობს. წარმოდგენილი გვაქვს ილუსტრირებული ბიოგრაფიების სერია. მათ შორისაა „გალას“ ლაურეატის, მიხომოსულიშვილის „გუჟა-ფშაველა“.

მარიამ ნიკლაური, გამომცემლობა „საუნჯეს“ მიმართულებების მენეჯერი, მწერალი: „საუნჯე“ 2006 წელს დაარსდა, მისი დამფუძნებელია ვაჟა ნონკოლაური. ბოლო ერთი წელია, ძალზე ინტენსიურად ვმუშაობთ და შესაძლებელი გახდა, ბევრი თანამედროვე ქართველი ავტორისთვის სრულიად უსასყიდლოდ გამოგვეცა წიგნები. სიხარულით გაუწყებთ, რომ წლებადღეს ფესტივალზე გამოვიტანეთ როგორც ჯერ კიდევ უცნობ ავტორთა ძალიან კარგი სადებიუტო ნამუშევრები, ისე გამოცდილი, უკვე ცნობილი ავტორების შემოქმედება. ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი პოეზია, დაწყებული ლია ლიქოკელის ძალიან კარგი დებიუტისა „დევის ცოლის სიცილი“, დამთავრებული დიანა ანფიმიადის, კატო ჯავახიშვილის, ქეთი დიდიშვილის, მარიამ ხუცურაულის და კიდევ მრავალი ავტორის კრებულით. რაც შეეხება პროზას: გვყავს ისეთი ავტორები, როგორცაა ბესო ხვედელიძე, ლია ბაბუნაშვილი, გურამ მეგრელიშვილი... ყველას ვერ ჩამოვთვლი. მინდა, აღვნიშნო, რომ „საუნჯე“ არც ლიტერატურული კრიტიკისადმი გულგრილი. სერიოზულ მოვლენად მიმაჩნია ცნობილი ლიტერატორის, ნონა კუპრეიშვილის წიგნის — „სიტყვის დეგუსტაცია“ — წარდგენა. ეს არის ძალიან საინტერესო ანალიზი ლიტერატურული პროცესებისა. ასევე გამოვიყვანე მანანა დუმბაძისა და გიო მგელაძის პროზას. ძალზე მრავალფეროვანი სერიაა „ბიბლიოთეკა ბავშვებისთვის“. ასე რომ, ველოდებით მკითხველს. იქნებ დაინტერესდნენ და თანადგომით გაგვამხნეონ“.

გიორგი კალანდია, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი: „უკვე მრავალი წელია, წიგნის ფესტივალის დღესასწაულად იქცა და მეც, როგორც

მკითხველსა და როგორც მონაწილეს, მის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. უფრო და უფრო შთაბეჭდავი და საინტერესო ხდება ეს ღონისძიება. ჩვენმა მუზეუმმა წელსაც არაერთი სიახლე შესთავაზა მომხმარებელს. მთელი წლის განმავლობაში, როცა რაიმე წიგნსა თუ ალბომს გამოვეცემთ, ქვეცნობიერად ვფიქრობ ხოლმე იმაზეც, რომ ამ გამოცემით მკითხველის წინაშე მოვიწოდებ თავს. როგორც მკითხველი, ძირითადად, ვეძებ ლიტერატურას, რომელიც აღმოსავლეთზე მოგვითხრობს. ახლაც დიანა იანსეს „ავლანური დღიურები“ და ემანუელ შმიდტის „ულისე ბალდათიდან“ შევიძინე“.

რისმაგ გორდუზიანი, თსუ პროფესორი, გამომცემლობა „ლოგოსის“ ხელმძღვანელი: „ძალზე სასიამოვნოა, რომ წიგნის ფესტივალის საქართველოში უკვე მყარი ტრადიციაა. მგონია, რომ ღონისძიება ყოველწლიურად უფრო მასშტაბური ხდება, ვგულისხმობ ახალ გამოცემლებს, ახალ მონაწილეებს და გამოფენის კონფიგურაციასაც. ძალზე სასიამოვნოა, რომ ამდენი წიგნი გამოდის საქართველოში. ახლა, როგორც ჩანს, სერიოზული ფიქრია საჭირო იმისათვის, რომ მკითხველში რაც შეიძლება მეტად გავავიძოთ წიგნის სიყვარული და ის წიგნის მაღაზიებს დაფურცნოთ. რასაკვირველია, ძალზე სასიამოვნოა, რომ ამ ფორუმში გამომცემლობა „ლოგოსი“ ფესტივალის დაარსების პირველივე წლებიდან მონაწილეობს. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი პროდუქცია არ არის გათვლილი კომერციულ მიზნებზე, ეს ის ლიტერატურაა, ქართველ მკითხველს რომ სჭირდება. ეს გახლავთ სამეცნიერო მონოგრაფიები, თარგმანები. ვიმედოვნებ, რომ დადგება დრო, როდესაც ჩვენ დარგში გამოცემული ბერძენი და რომელიც ავტორების ნებისმიერი წიგნი, თარგმნილი თხზულებები ათეულობით ათასი ტირაჟით გაიყიდება, როგორც ეს ოცდაათი-ოცდაათმეტი წლის წინ ხდებოდა. მჯერა, ეს დრო დადგება“.



ირმა ბერიძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამომცემლო განყოფილების ხელმძღვანელი: „ფესტივალზე წარვადგინეთ ქართული ხელნაწერი წიგნის შესახებ გამოცემული პირველი ილუსტრირებული ალბომი, რომელიც მოიცავს ტექსტებს პირველი ხელნაწერიდან, პალიმფსესტებიდან დაწყებული, ვიდრე XIX საუკუნის ხელნაწერებამდე.

დასასრული მე-10 გვერდზე



მამუკა ნიკლაური ციკლიდან „1992 წელი“

თბილისი

ლამეა. მკვდარი ღამე წევს
მკვდარი ქალაქის მკერდზედა,
ცას შეჰყინვია მთვარე და
მტკვრის გულისცემაც ჩერდება,
სისხლში იხრჩობა ქალაქი –
ჩემი ტანჯული ბერდება.

წევს ჩემი დედაქალაქი
სისხლით გაჟღენთილ ჭილობზე,
ნაცემი, ძეძვზე ნათრევი,
წევს და ილოკავს ჭრილობებს
და... კაცისმკვლეელი ღაჩრები
თავის მართლებას ცდილობენ.

ფურთხს ლოკვენ მაცილისასა,
მუხლს მაცილის წინ იყრიან,
ისევე ასტიკვდა გორგასალს
ისრით გაჭრილი ილია,
მთვარე გაფითრდა: – ეს სისხლი
ძმისგან მოკლულის სისხლია!..

ხმალი ქარქაშში ჩამხრჩვალა,
მაჯა მიმკვდარა ვადაზე,
ხელს ინვდის მთვარე, სისხლიან
ღრუბლებს ცახცახით გადასწევს:
— არც სპარსთ, არც არაბთ... თბილისი
თბილისელებმა გადასწევს!

ეს მერამდენედ დასცეს და
ეს მერამდენედ გადასწევს
და მთვარე — ჟამთაღმწერელი
საუკუნეებს გადასცემს:
— არც თურქთ, არც მონღოლთ... ამჯერად
თბილისელებმა გადასწევს!

სიზმარი

ელავდა. შავი ღრუბელი,
გზას ინათებდა კვესითა,
წკვარამ ღამეში ვისხედით,
სახლი იძვროდა კენესითა,
ვილაც შავ თასებს გვანვდიდა:
— ეს შავი ღამე შესვითა.

ჩვენც იმა კვენესით ვკვენსოდით,
მუხლებში ვიკვეცებოდით,
თითქოს არც ცოცხლები გვერქვა
და აღარც ვიხოცებოდით,
მოყვარეს თოფს ვუმინებდით,
მტერს ძმობას ვეფიცებოდით.

თითქოს მზეც იდგა, შავი მზე,
მოსილი შავი ძაძვებით,
აქ აღარც ქალი ქალობდა,
აღარც კაცობდნენ კაცები,
გადმოგვეღერა ენები
და გველის შხამში ვანებდით.

სკვითი სკვითურად ყიოდა:
მზე უფრო დააბნელეთო!
ეგ ცოტა არის! დახოცეთ!
სისხლის ზღვა დააყენეთო!
მიეცით შავი ჩანგური –
სიკვდილი აამლერეთო!

...გოლგოთა იდგა შავ სვეტად,
ცაში ღრუბლები გრგვინავდნენ,
კვდებოდა ჩემი ქალაქი
და ხელს იბანდა პილატე,
ეურჩებოდნენ ღვთის შვილს და
ესარჩლებოდნენ პირატებს.



...მერე საათმა დაჰკრა და
ხმა გაკრთა გამორჩეულად:
— ო, ღმერთო ჩემო, სადა ხარ,
რად მიმატოვე ეულად...
მოვიდა ჯარისკაცი და
ფერდში შუბი ჰკრა წყეულმა.

ეს ახლა მოხდა, აქ მოხდა,
ადგილის დედის ხმა იყო,
ჩემმა ტანჯულმა ქალაქმა
თავისი ჯვარი აიღო,
ბოროტება და სიკეთე
სისხლის მდინარით გაიყო.

... და ნიაღვრეაზა ვოცნებობ

მთვარე ნაილო ვეშაპმა,
მზე დაამწყვდია ღრუბელმა,
ქარი კი არა, ჩემს ტყეებს
სიკვდილის ქარი უბერავს,
სისხლით აევსო მუცელი
ჩემს გულზე დასმულ წურბელას.

ცივ ქვაზე ვზივარ ბეჩავი
და ნიაღვრეზე ვოცნებობ:
ადიდდით, მდინარეებო,
თავისუფლების მოძმენო,
ეგებ ჯებირი გაგლიჯოთ
და გზა როგორმე მოძებნოთ!

ცავ, შიშით გამტკნარებულო,
საგაზაფხულოდ იგრგვინე,
არწივო, ძირს დაცემულო,
საარწივოში იფრინე,
ღმერთო, შემასწარ – მაისი
გმირებს ადგამდეს გვირგვინებს

ალაზანო და იორო,
დააგდეთ ზამთრის ჯღანია,
ადექით, აიშაღენით,
მკლავის გამართვის ჟამია,,
ბარის ველებზე მოფინეთ
მთების ძალა და ჯანია!

სალაშქროდ გადაუძახეთ
ცხენისწყალს, ენგურს, რიონსა,
ლიახვამაც ზვირთი შემართოს
და ყორნებს აუქმიოსა,
კოდორი ჩამოიყოლებს
მოქნიულ ხმლების სიოსა.

აზვავდით, იქნებ გვეშველოს
საერთო ბრძოლა-გარჯითა,
რომ საქართველოს მიწაზე
ამოწყდეს ფესვი ღაჩრისა
და მოღალატის სახელი
გადაიფხიკოს ხანჯლითა!

ისა ნუმც დაჰხოცავით

მზეო, ამოდი, შენს შუქზე
სიმართლე ააკაშკაშე,
მზეო, დახედე ციხეში
კარგამოკეტილ ვაჟკაცებს
და მიახარე: არწივი
ისევე აღსდგა და ყაშყაშებს!

მზეო, გაგვიძებ საომრად
და გაგვიყვანე გაღმითა,
ნუ გაგვისტუმრებ აქედან
მონა-მორჩილის დამლითა,
ნუ მოგვიძულე, ნუ გვეტყვი:
— მაგ ტყვეობაში გახმითა!

დე, გზას იკვლევდეს სიმართლე
წმინდა გიორგის შუბითა,
სატანა ველარ გეშიავდეს
სახლ-კარის გადაბუგვითა,
დროს ხევდეს თეთრი თეთნულდი
ცას მიბჯენილი შუბლითა!

მზეო, გაგვიძებ, რომ ღამე
დაგვეხსნას, გაგვეყაროსა,
ისე ნუმც დავიხოცებთ
ღმერთი არ დაგვეხმაროსა
რომ გულზე თავისუფალი
მიწა არ დაგვეყაროსა.

მართლაც, ასი გვჭირს იარა

რა წყევლა წამოგვეწია,
რა ღამე შეგვედგა შავ-ბნელი?!
ჯერაც არ დაუმარხიათ,
სისხლად იცლება აბელი
და არ ჩანს, ვინ გადააფრთობს
ყორანს, ზედ გულზე დაფრენილს.

მკვლევების დიდი ღამეა –
დევენან, ხვრეტენ, იჭერენ...
არწივი თავის კლდეებში
საბუდარს ველარ იშენებს,
ერისკაცების მკვლეელი კი
ერისკაცობას იჩემებს.

თითქოს ყორანიც დავლანდეთ
და საცნაურიც ვცანითა:
ვამბობთ, რომ შხამი იფრქვევა
დიდი მაცილის გვამიდან,
მაგრამ მტერს ვინ გააბრუნებს
სიტყვით და ენის ფხანითა?!

სისხლი გვდის, მუმლი გვესევა
ცალკე გარეთ და ცალკე – შინ,
სხვა ვერ გვიშველის გაბმულებს
შავი ფრინველის ჭანგებში,
თუ ერთად არ ჩავიხედავთ
ჩვენი შავბედის სარკეში.

ყორანი — ყორანს, სვაგი – სვავს,
ყვავი ყვავს ჩაეზიარა –
ფლეთენ ამერს და იმერსა,
მართლაც ასი გვჭირს იარა –
სარკესთან დავდგეთ, იქ მოჩანს,
სახლ-კარი გვრჩება ტიალად.

შავ ღამეს ფარობს დუშმანი
და ჩვენს გაქრობას იოლობს,
მოგვხედვს, ღმერთო მაღალო,
შუქი მოგვფინე სიონო,
რომ ასი ფარით, ასი ხმლით
და ერთი აზრით ვიომოთ!

დიდგორის მთვარე

დიდგორზე მთვარე დახრილა,
დიდგორულ ღამით მთვარალია,
ეგ ბაბილონის, ურარტუს
და დიაოხის მთვარეა –
იმასაც ხედავს, რაც მიწას
ჩაუნთქავს, დაუფარია.

ეგ მთვარე დაღის ძუძუა,
დიდგორს რძედ დაენამება,
ამირანს ბადრს და უსუჰსა
ეგ ძუძუ ახმლიანებდა,
ლომებს უზრდიდა თვალეებში,
ზვავებდად აგრილებდა.

მთვარეში დედა – დალი ჩანს,
მამა – დავითიც იქ არის!
მანდ დიდი საქართველოა,
თავისი სიგრძე-სიგანით,
მაგიტომაა, ვერ აქრობს
გველებით სავსე გრიგალი;

მაგიტომაა, რომ ვერ მძლევს
ვერც დრო, ვერც კაცი ორპირი,
მკლავენ და მაინც ვცოცხლდები,
ვდგები შუბლგადაპობილი,
როდესაც მთვარე დიდგორეთს
დააფრინდება ორბივით.

ეგ აიეტის მთვარეა,
არ მიშვებს კუბოს კარამდის,
ხან ფარია და ხან – ხმალი,
ხან – საგანგაშო ბარათი,
ხან მალამოა, როცა გულს
გადამიკორტნის ლალატი.

დღეს სინათლეა! რადგან დღეს
მტრების ამინდი ამინდობს,
უნდა გავძლო და არ გავტყდეთ,
არ გავიღუნო – ამიტომ
მალაღმა ზეცამ ეს მთვარე
მტრის დასანახად ამინთო!

შვიდი დღე — შვიდი ხელადა
ზღაპრის სასმელით სავსეო.

ხან მტერი ხანაც მოყვასი
გადამეყრება გზაზეო.

ორივეს ისე დავლოცავ
ცრემლი მოადგეთ თვალებო.

ფერი რამ — უანკარესი
აკამკამდება ცაზეო...

და უფრო გალამაზდება
საიქიო და სამზეო.

ხეები
იმასაც დარდობენ
რომ მათ ჩრდილში
აღამიანები
ან მზერას არიდევენ
ან მტრულად
უყურებენ ერთმანეთს.

ნამის გალობა ფეთქვა მტევნების
თავდავიწყება მზის და რტოების
ნაცნობ სივრცეში უცხო ფერები
მარადიული ციცაბოები...

მახეებს შორის რკინის ბანარი
ხრიოკის მერე გზა და გერილი
გული ღვთიური ხმებით გამთბარი
და გაზაფხული გადარჩენილი.

ნათესავეები

წყაროს ხმაში
არის რალაც
ჭიკჭიკიკებური
და წყაროსებური
არის რალაც
მერცხლის თვალეში
და აღარ გიკვირს
რომ შარშანდელ
(თუ უფრო ძველ)
ბუდეებს დაუბრუნდნენ
წყარო და მერცხალი.

ცელის
პირიდან ასხლეტილი
შუქივით გაიღვა
სივრცეში კალმანმა
ანკესს მოწყვეტილმა
და ლაყურგახეული
ჩაეშვა ღურღუმელში
და აღმა გაცურა
სადაც ცა უფრო ახლოსაა
სადაც უფრო ნათელი სიჩუმეა.

მინდვრებზე მწვანის
ნათება მკრთალი
მთის ნაოჭებში
სუსხი და ხორტი
წმინდა ნათელი
და მღვრიე წყალი.

მოდის გაზაფხული
მოდის...

გულში ახალი
ზარის წკრიალი
იმედის ფსკერზე
ტკივილის ლოდი
სიტყვა ოქროსი
ცრემლი მზიანი.

მოდის
გაზაფხული მოდის.

დედამინა შეირხა
აღამიანი აღამიანის
ჩრდილს ებლაუჭება
ხმა ხმას
ენასკება სივრცეში.



ვაჟა ხორნაული

ბავშვი
ჯერ მამისაკენ გაიქცა
მერე — დედისაკენ
ბოლოს მათ შუაში ატირდა.

ძალით მოტაცებულ
ქალსა ჰგავს მდინარე
ახალ კალაპოტში.

ღრუბელმა ღრუბელი მიატოვა
და წყარომ
მოიწყინა უღრანში...

განსაცდელი
ხემ ხელი ინატრა
და აღამიანმა — ტოტი.

აყვავებული ხეები ქარში
ერთმანეთს
ტოტებით რომ ეხლართებიან —
ასეთია კამათი ჩვენი.

ნიჩბებს რომ მოუსვამ
ნავი ტალღებთან მოთამაშე
ფრინველს ემსგავსება.

გუშინდელი პომის პანაშვიდზე
საუკუნის წინანდელი ჰაიკუები.

გარდაიცვალა მეფე
და იმ ქვეყანაში
აჩრდილები შეკრიბა საომრად.

ცა უფრო განათდა
როდესაც ღმერთმა
დაგიძახა აღამიანიდან.

გალუნულ-დაჟანგული
ქარქაშიდან გამოძვრა ხოჭო
აბლაბუდის ბერეტიო.

ხელისგულები
მხრებზე დაგაფინა
და ისე გიყურებს
თითქოს ნისლზე
ყვავილები დაინახაო.

თვითმფრინავიდან
მატარებელში
მატარებლიდან ავტობუსში
ავტობუსიდან სატვირთო მანქანაში
და მერე სახედრით...

ცრემლი შეიკავა
და პირველი
ჭალარა გაუჩნდა.

ბავშვობა გაიხსენეს:
დათვი და მელია
გაართო კაცმა
ქალმა —
თოჯინა ჩითისკაბიანი.

შუალამისას წვიმა ამრიალდა
და კარადიდან გაიპარა
თეფშზე მიხატული ყვავილი.

კაცი — ქალში
ქალი კაცში გაუჩინარდა
და ასე დაკარგეს ერთმანეთი.

ამოხსნილმა გამოცანებმა
ჯვარი დაიწერეს
და იშვა გამოცანა ახალი.

დედას შეუძლია
რომ ჩრდილი
მოიხსნას გვალვაში
და შვილს მოახვიოს.

ჩვენთან შესახვედრად
ბალიდან
შრიალი გამოვიდა
სურნელთან ერთად.

მკლავები მოხვია
ქალი
ნაცნობ სითბოში გაირინდა
და კაცი დაემსგავსა
ლამაზი ნახატის ჩარჩოს.

გულში რომ სამოთხე
გაგიჩნდება
და იმ სამოთხეში
სულ გაზაფხულია —
ესაა სიყვარული.

შორს დარჩენილი
მამულის სითბო
მოყვასისთვის მიჰქონდა გულით
და საზღვართან ნაქცეულმა
მზერას გაატანა...

დალოცეს ვაზი და მევენახე
მაგრამ არავის გახსენებია
ჭიგო —
შვილი ცისა და მიწისა
ტაძრის დედაბოდის ნათლული.

ფურცელთან მისვლისას
ქუდს იხდის კალამი...

პატარა გაცრეცილი ოთახი
სართულებიან
სახლს მიშენებული
მდიდარ ახლობელს მიკედლებულ
ღარიბ ბავშვს გაგონებს.

მენყერზე შიმელა გაიფოთლა
ტოტებს შორის ვარსკვლავები
შეცვალეს ყვავილებმა...

და ისე ასტიკვდა
გაბზარული
სიმღერა სიჩუმეს —
ცამ მისკენ მოიხედა.

ზოგჯერ ქალიც ასეა —
ყვავილოვან ბალახში
რომ ეძებ რალაცას
და მოულოდნელად
შუშის ნატებს შეაჭრი ხელს.

მზის ჩასვლისას
თუ ამოსვლისას
ვინაც გახსენდება —
ისაა შენი სიყვარული
შენი ბედისწერა ისაა.

„არ დამივიწყო“
თუა ნათქვამი
„რატომ დამივიწყე“
ნუ გაგიკვირდება.

ძმამ
დანა მოუღერა ძმას
და სიჩუმე გაიბზარა
დედის სამარეში...

დედა თეთრ ტილოზე
ერთმანეთისაკენ გადახრილ
გვირილებს ქარგავს
და მამას შუშა
შემოაქვს ღიღინით.

ადრინდელი
აისბერგს მოჰგავდა
ხოლო ახლანდელი პოემა
ბეჭედში გაეტევა...

როგორც კვიცი დედასთან
ისე მშვიდადაა
ნავი — გემის ჩრდილს შეფარებული.

ის ახლა
ჩემთან ერთად გზაშია
და მე მასთან ერთად
სარკმლიდან
გადავყურებ ზღვას.

ყვავილი გაიზარდა
და ქოთანს ევიწროება
და ჰგავს აღამიანს
რომელსაც საბანი არა სწვდება
და წევს შეკეცილი ფეხებით.

შვილმა რომ დაუყვირა
დედის გულში
მზე ნამით შეჩერდა
და გაფერმკრთალებულმა
განაგრძო გზა...

გარდაცვლილს შუბლზე
შეახო ხელი
ეს იყო პირველი შეხვედრა
არადა — როგორ და რამდენ ხანს
უყვარდათ ერთმანეთი...

როცა კაცთაგანმა
ჩაიღინა
პირველი მკვლელობა —
პირველი ღრუბელი
გამოჩნდა სივრცეში.

— მიამბობ რამეს ამ ციხის შესახებ?
 რადგან მონმენდილ ცაზე ნამლად ერთი პატარა ჩიტიც აღარ ჩანს, ციხის ამბავი უნდა მოვყვე. ინგლისელი ჩვეულებრივი კლიენტები არ არის. ბერდოვრეები სხვანაირი ხალხია. ჩიტის მეტი არაფერი უნდათ. ჰა-ჰა, ცხოველზე გაქცევა თვალში... ვარძიაში ისე ავლენ და ჩამოვლენ, კლდეცოციების და ლურჯი კლდის შაშვების იქით თვალი არ გაქცევთ. გარეგნობა უდაბნოს ფრესკების არც ასაკს იკითხავენ და არც წარმოშობას, ოღონდ კლდის ბელურა აჩვენებ და ცაში მოლოდინვე ფასკუნჯებს და ორბებს აყურებინებ. ინგლისელი სხვანაირია და ჯობს, ისევე მე მოვყვე, სანამ თვითონ დაუწყია ლაპარაკი.

— აქეთკენ რომ ამოვდიოდით, გამოქვაბულები ვნახეთ. ერთს ზედ რკინის კარიც ჰქონდა შერჩენილი. ლეგენდის მიხედვით, აქაურ მეფეს მანდ ტყვეები ჰყავდა დამწყვდეული...

— და რომელ საუკუნეში ხდებოდა ეს ყველაფერი?

— მეოცეში...

მოვახერხე და გავაოცე, დურბინდს იცილებს თვალისა და მაკვირდება, უნდა გაიგოს, დავცინი თუ არა...

— ზუსტ თარიღს ვერ გავიხსენებ, მაგრამ ეს ყველაფერი მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მოხდა. ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში. გახსოვთ კაცი, რომელიც დილით დედოფლისწყაროს ბაზართან შემხვდა?

ინგლისელი თავს მიქნევს:

— დილის საათის მიუხედავად, ის კაცი მთვრალივით გამოიყურებოდა.

— იყო კიდევაც მთვრალი და დასალევადაც გვეპატიჟებოდა. ლოთობს, მგონი, უბედური კაცი უნდა იყოს. მეტსახელი კი იცით რა აქვს? „მეფე“. ეს კაცი ოდესღაც მეფე იყო. უნდა იყოს, რომ მეფე ყოფილიყო. Man who would be a king — იყოს კიბლინგი, თუ ასე უნდა. აკი, პირველმა თვითონ ახსენა The Big Game — დიდი თამაში, რომლის მონაწილეც თავად იყო. მაშინ არაფერი შევიძინე, ეჭვი შეიქმნა, როგორ არ შევიძინე! „პონი უკვე საკმარისად განვრთინილია იმისთვის, რომ დიდ თამაშში ჩაებას!“ — მაგას რა დამავინწყებს?! ოღონდ არა მგონია, ჩემი ინგლისელისთვის ვინმეს ჰიპნოზი და გარდასახვის ხელოვნება ესწავლებინოს ან პატარა მონიკეებზე რეკლამები ჩაედოს ხელში. მის დროს დიდი თამაში უკვე სხვანაირი იყო... ირლანდიელი ჰინდუ ბიჭუნას და არაბეთის პოლკოვნიკი ლოურენსის დრო აღარ იყო. იყო ომი, რომელიც ომიც არ იყო, ამიტომაც ცივი დაარქვეს და იყვნენ მისი ულიდლამო მებრძოლები და დიხაც დავიმსახურე, რომ ერთ-ერთ მათგანს გაცეცებით ავანევიწი წარბი. კიბლინგი, დიხაც, მიყვარს, მასხოსს და მებრძოლებს, როგორც მებრძოლებს ყველა, ვინც მიყვარს და, მგონი, იმპერიალიზმის სულაც არაფერი უშვია მისთანა კარგი...


— ეს კომიკური ამბავი იქნებოდა, ცუდად რომ არ დამთავრებულიყო. საქმე ისაა, რომ ერთ ზამთარს ეს ადამიანი მართლა იჯდა ამ ციხე-სიმაგრეში, მეფეს ეძახდნენ და, როგორც ყველა ჭეშმარიტ მონარქს, მასაც გარს უხვი მლიქვნელებისა და მასხრების ბრბო. დედოფალიც კი ეჯდა გვერდით. ეს უცნაური ამბავია, ისევე, როგორც ის დრო იყო უცნაური. ძნელია, ზუსტად აღწერო, რა ხდებოდა მაშინ, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ სხვა დროსა და ვითარებაში ის მეფე ვერაფრით გახდებოდა. ახლა მხოლოდ მეტსახელია შერჩა, როგორც გადმონაშთი იმ გიჟური დროებისა, როცა ერთიანად აიწყვიტა ქალაქმაც და სოფელმაც, ოღონდ აქაური აწყვეტა უფრო სხვანაირი, კიდევ უფრო გროტესკული იყო.

მას ჰყავდა მამა — შეძლებული და ძლიერი ადამიანი, სხვანაირი, დიდი გაქანების კაცი. აქაურობისთვის და, მით უმეტეს, თავის შვილისთვის ის მეტისმეტად დიდ იყო და, ალბათ, დამორგუნველიც. მაშინ, იმ წლებში, ამ კაცს ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა. ეპატრონებოდა ყველაფერს, რაზეც ხელი მიუწვდებოდა. მაშინ დრო იყო ეგეთი, რომ ყველა შნოიანი და რისკიანი უპატრონოდ დარჩენილ მინდას, ტექნიკას, უძრავ თუ მოძრავ ქონებას იმტიციებდა. ეს კაციც ეგეთი იყო. იბრძოდა და იმარჯვებდა, ანადგურებდა მონინალმდეგეებს, ხანდახან — ფიზიკურადაც. დარბოდა თბილისსა და რეგიონს შორის და, ერთი სიტყვით, ხშირად უწევდა

სახლიდან წასვლა და მე ნამდვილად არ ვიცი, სად და რისთვის იყო წასული, როცა შვილმა მის ფულს მიაგნო. ჩვენ ქართველები ვამბობთ „ფულებს“ — მრავლობითში. ეგეთ ფულზე, როგორც იმ კაცს ჰქონდა, „ფულებს“ ვამბობთ.

ეს მუქთა, ნაპოვნი ფულების ამბავია, კიდევ მოწყენილობის და, მგონი, შიშის მთელ იმ ამბებში, რაც მეფემ ჩაიდინა, იყო რაღაც მისთვისვე საბედისწერო. ეგეთი რამეები მინახავს. ადამიანმა იცის, რომ დაისჯება, იცის, რომ არ აპატიებენ, ძმრად ამოადენენ ნაქურდალს, მაგრამ მაინც შერება, თანაც მოპარულ ფულს სრულიად გიჟურად, უაზროდ და საბედისწეროდ ხარჯავს. მეფის ამბავიც ასე იყო. დარწმუნებული ვარ, ცეცხლივით ეშინოდა მამის და მაინც გააკეთა, რაღაც ბრიყვეული ამბოხის მსგავსი რამ მოაწყო...

მასზე და მის ფულზე აკიდებულმა



დაფიქრდები და ჩემი ლენდროვერითაც მერე გაგებდებოდა ხოლმე იქ ჩასვლას, სამუხის ველზეც გადიოდნენ — აზერბაიჯანის საზღვართან. დღეს იქ მესაზღვრეები დგანან და საგანგებო ნებართვას გთხოვენ. ალბათ, მაშინაც იდგებოდნენ, ოღონდ ჯერ არ იქნებოდა ასეთი სიმკაცრე და არც რაციები ექნებოდათ აურზაურის ასატყხად. მარტივად იქნებოდა ყველაფერი. ერთ-ორ ხუმრობას გადაუდებდნენ ერთმანეთს და გაატარებდნენ. ალბათ, თვითონაც ხალისობდნენ მაჩვიას და იმის უკეთესი ეკიპაჟის გამოჩენაზე. მოსკოვიჩი აზერბაიჯანელების ბინებზე არასოდეს მიდიოდა. იმათ თავიანთი ქალები ცხვარში მუდამ თან დაჰყავთ — მთაშიც და ბარშიც. ბინაში დაბრუნებულებს ხვდებათ სადილი, ცოლი და მუდამ დამფრთხალი, ცხვართან და ქოფაკებთან ერთად დაზრდილი ბავშვები, სკოლა ამბადაც რომ არ გაუგიათ, რა არის. ქართველებთან მიდიოდნენ — კახელებთან და თუშებთან. მაჩვია სიგნალებით შევარდებოდა ბინაში, ყვფით აკიდებულ ქოფაკებს მანქანის ღია ფანჯრიდან დაუცაცხანებდა და როცა შარვაზე ცხიმიანი ხელების წმენდით გამოსული მწყემსები ძაღლებს გაყრიდნენ, გადმოვიდოდა, ტაშს შემოკრავდა და რიხიანად შემოსძახებდა: აბა, ჰე და აბა, ჰო! ხან — მანონი, ხანაც — დო!

ვისაც უმცროს-უფროსობით რიგი ჯერ არ უწევდა, მაჩვიასთან ერთად ენეოდა გარეთ. ზოგჯერ მაჩვიას მათთვის უფილტრო სიგარეტი მიჰქონდა. რაიონის და ქვეყნის ამბებს ეკითხებოდნენ. ხანდახან მწყემსებისთვის ახალ გაზეთს გამოაყ-

არჩილ ქიქოძე

ჩიტის და კაცის ამბავი

მუქთახორების ბრბომ მას მეფე შეარქვა. მას რეზიდენცია სჭირდებოდა და ეს ყველაფრისგან მოშორებული ძველი ციხესიმაგრე აირჩია. ქვეშევრდომებთან ერთად აქ გამაგრდა. ზამთარი იყო და რადგან ღუმელის ამოტანა და შუშის ზიდვა დაეზარათ, ნავთის გამათბობლები მოიმარაგეს და იმითი დაათბეს ყველაზე დიდი გამოქვაბული — ზუსტად ჩვენს ქვევით. ყველაფერი მოიტანეს — ლეიბები, საბნები, საჭმელ-სასმელი. მოშვებდებოდა და ვინმეს აგ ზავნიდნენ რაიონში. ღვინო, არაყი და პლანი ჰქონიათ ულევო. მეფე ერქვა, თავზე გვირგვინი ედგა, ტანისამოსზე ზვიდრად ხალათი ეცვა, გარს თითქოს საკარნაველოდ გამოწყობილი რაიონის ყველა ქლესა და მუქთამჭამელი ეხვია და ტახტრევანზე გვერდით თამთამა დედოფალი ეჯდა...

დედოფალი და იმისი ორივე სეფექალი ნაალაფარი იყო. მეფე — ნაკლებად და ქვეშევრდომები კი დროდადრო გადიოდნენ ციხიდან და შარვაზე ღვედებოდნენ, უფრო გამველ-გამოვლელის შესაშინებლად, ვიდრე საყარალოდ. არც იყვნენ შარავის ყარალები და არც უჭირდათ სამაგისოდ. ყველაფერი თავზე საყრელი ჰქონდათ და მხოლოდ მოწყენილობას ვერ უხერხებდნენ ვერაფერს. ერთ-ერთი რეიდის დროს გააჩერეს მედოლე და აშული მაჩვიას ლურჯი მოსკოვიჩი, რომელიც ზოგს ნანახი ჰქონდა, ზოგს კი გაეგონა მისი ამბავი. მას მერე, რაც სროლა და იარაღის ტრაილი გახშირდა, მაჩვიამ ქორწინებში დაკვრაზე და სიმღერაზე ხელი აიღო და სამ ბოზს დაატარებდა მთელ შირაქში ბინიდან ბინაზე. საფასურს ცხვრით იღებდნენ და ხალხს სულ ის უკვირდა, იმ ერთი ბენო მანქანაში სად ეტეოდა ოთხი ადამიანი და მაგოდენა ცხვარი. ზოგს თურმე საბარგულში, ზოგს სალონში ისხამდნენ, ზოგს კიდევ ეგრე ცოცხლად აკრავდნენ მოსკოვიჩის სახურავზე. რაიონიდან მსუბუქად მიდიოდნენ და ყოველ ჯერზე ისედაც მოფხფახებული ლურჯი მანქანა კიდევ უფრო მონგრეული და დამჯდარი სულ უკინით და სიგნალებით ბრუნდებოდა თურმე. მაჩვიამ დალა არ იცოდა. მას მერე რაც მთვრალმა მექორწინილებმა რამდენჯერმე ცხვირწინ გაუსროლეს, ერთხელ კი მის თვალწინ ბრმა ტყვიით კაციც დაიღუპა, ისევე ესეთი ცხოვრება არჩია... სად და რომელ დანგრეულ გზაზე არ ნახავდი იმის მანქანას. ჩვენ იმ ადგილებს გავივლით... ისეთი ხეობებია, რომ ცუდ ამინდში ჯერ კარგად

ოლებდა ხელს, უფრო კი — ძველს, ოღონდ მათთვის ის ძველიც ახალი იყო. თვითონაც გამოიკითხავდა იქაურობის ამბებს, ოღონდ ცხვარ-მეცხვარეობის ბევრი არაფერი გაეგებოდა, ნადირი ხომ არ განუხებო? — მაგის კითხვა იცოდა და გაიკრიჭებოდა ხოლმე თავის ოქროს კბილებით. როგორც ნესი, მისთვის ქალების საფასურში მიცემული ცხვარი მგლის ანგარიშზე იწერებოდა. იმ წელს შემოდგომიდან მოყოლებული იმუშავეს. რაც ცხვარი მთიდან დაბრუნდა, მას მერე არ გაჩერებულან და თებერვლისთვის უკვე რესპუბლიკური გაზეთებიც კი ალაპარაკდნენ მგლების არნახულ შემოსევაზე. მონადირეთა კავშირმა მგლის მოკვლაზე გაუქმებული პრემიის აღდგენა მოითხოვა. ვიღაც ზოოლოგიის პროფესორმა ჯერ სტატია დაწერა და მერე ტელევიზიით გამოაცხადა, რომ შირაქისა და ელდარის ველებზე გამოჩენილი მხეცი იყო სხვა არაფერი, თუ არა ჩრენითიდან ომის შედეგად გადმოხვენილი ნითელი მგელი — მართალია, ჩვენებურ რუხ მგელზე ტანმორჩილი, მაგრამ გაუგონარი სისასტიკით და ვერაგობით გამორჩეული ნადირი. ზოგი იმასაც ამტკიცებდა, ჩრენითი არაფერ შუაშია, ეგ ნითელი მგელი ამერიკელებმა გაუშვეს, ჩვენზე ექსპერიმენტს ატარებენო. სიტყვა „ექსპერიმენტი“ დამაჯერებლად და სახიფათოდ ჟღერდა. თელავში, თბილისში, ქუთაისშიც, მრავალ ქალაქსა და სოფელში მონადირეები ირაზმებოდნენ და მთავრობისგან მხოლოდ ტრანსპორტს, სანავასა და ტყვიანამალს ითხოვდნენ...

აბა, ჰე და აბა, ჰო! ხან მანონი ხანაც — დო! მომანქით, ქალებო! დაიძახებდა მაჩვია, თუ მოსკოვიჩი სადმე ტალახში ან ნამქერში ჩაჯდებოდა. და ქალებიც ანეებოდნენ, მთელი შერჩენილი ჯანით და ბრაზით. ძალას არ იშურებდნენ, ტალახის შხეფებისთვის მთლად ცხვრის სუნად გაუღწილი ტანისამოსი არ ეწინააღმდეგებოდათ და თუ მაინც ვერ ძრავდნენ, მაშინ ტრაქტორის საშოვნელად მაჩვიასთან ერთად სამივე ფეხით გადიოდა ბევრ კილომეტრს უახლოეს სოფლამდე ან ფერმამდე, რადგან მანქანაში დარჩენისა ეშინოდათ. თამამები და თამთამები კი იყვნენ, მაგრამ მაინც უფრთხოდნენ ამ უკაცრიელ ტრამალებს და ბორცვებს, განსაკუთრებით — შებინდებისას, როცა ყოველ პირდაფრენილ ხევში და ყოველი გორის უკან სისხლისმძემვრელი ნადირი — ჩასაფრებული ნითელი მგელი — ელანდებოდათ...

ეგრე იყვნენ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ხორნაბუჯის ციხიდან გზაზე გამოსულმა პატრულმა არ გააჩერა და მეფე გიბარებთ თავისთანო, — მოახსენა. მწუხრის ჟამს უკაცური და პირქუში ჩანდა ძველთაძველი ციხე-სიმაგრე. მაჩვია სულ ქოშინით და ვიშვიშით ადიოდა ციცაბო აღმართზე, ცუდს უგრნობდა გული. ყველანაირ შარსს და გიჟს იყო გადაყრილი, მაგრამ ეგრე ჯამბაზებივით მორთულ-მოკაზმულებს ჯერ არავის შეხვედროდა. არ შემცდარა. მეფემ სამივე ქალი დაიტილა, წყალობა კი უხვად უბოძა — ფული არუქა, ცხვრებიც შეარჩინა. უკან წაიყვანეთ და ჩაუღიბით მანქანაშიო! — ბრძანა. არც ქალები გაძალიანებულან, პირდაპირ მაჩვიას თვალწინ მოიკაზმნენ და უსირცხვილოდ ჩაებნენ გიჟურ ცეკვა-თამაშში, თითქოს გართობას დანატრებული პატარა ბავშვები ყოფილიყვნენ. ანყოლილი საქმე უცებ, დაუფიქრებლად გაცვალეს ერთ თალია გახელებულ გინასზე, სიციფეზე, რომელსაც აუცილებლად მოჰყებოდა სასჯელი. ტახტრევანზე შემხტარი მეფე კი მამის სამალავიდან მოპარულ ფულს აყრიდათ თავზე. მერე რა მოხდა, მაჩვიას აღარ უყურებია, სახლამდე კრიჭაშეკრულმა იარა. გზაში სულ ადამიანის უმადურობაზე ფიქრობდა. უკვე იცოდა, ქორწილებში მედოლოება და აშულოება უნდა შეხვედროდა. ისიც იცოდა, რამდენიმე დღეში ქალები, რომლებიც შიმშილს გადაარჩინა, რომლებსაც დევივით ექცეოდა, ერთისთვისაც არ დაუდია ხელი, რომლებთანაც ჭირი და ლხინი ერთი ჰქონდა, კარზე მოადგებოდნენ და ხვეწნას დაუწყებდნენ, მაგრამ — არა, უმადურობას ეს კაცი ვერ იტანდა. ალყაფი გახსნა, მანქანა ეზოში შეიყვანა. საბარგულსა და სალონში გამომწყვდეული ცხვრების გადმოსხმა ან სახურავზე მიკრულების ახსნა არც უფიქრია. კიბზე ჩამოჯდა და ტირილით წაიმღერა: „კიბზე ჩამოჯდები, შენს შვილს დავლოდები, საყვარელო ჩემო დედიო...“

ამ გოდების გამგონე დედას გულმა უგრძნო, შვილის თავს რაღაც რომ იყო მომხდარი. გარეთ გამოვიდა, წამოაყვანა, გულში ჩაიხუტა, მხარში ამოუდგა ყავარჯენივით და იმოდენა კაცი ეგრე ასლუკუნებული შეიყვანა სახლში. დედა პატარა ტანის ქალი ჰყავდა. მაჩვია მალაღი და მსუქანი იყო და სულ მთლად ქოსა...

მეორე დილით კი, ზუსტად ისე, როგორც ზღაპრებში ხდებოდა ხოლმე, იმ სამი ქალიდან ერთ-ერთმა დედოფლად გაიღვიძა. იმ დღიდან მარტო მეფისა იყო, თავზე მასაც ედგა ჰუმანიტარული ზეთის ყუთისგან გამოჭრილი გვირგვინი. უზარმაზარი ძუძუები და ნიკინა ხმა ჰქონდა თურმე. მისი მნახველი ყველა ამ ორ თავისებურებას აღნიშნავდა. ძუძუ — გასაგებია და ხმა, ალბათ, იმიტომ დაამახსოვრდათ, რომ ძალაუფლებას მამინათვე გაუგო გემო და მალევე ისწავლა ბრძანებების გაცემა და თვალების ბრილი. ნეტა, რამდენი დღე გრძელდებოდა ეს სიციფე? კირქვიან კლდეზე წამომართული ძველი სიმაგრე, საიდანაც ალაზნის ველი ხელის გულივით მოჩანს, რომლის ციცაბო ბლიკებს წელიწადის თბილ დროს ექსკურსიაზე წამოსული ბავშვები შეესვენან ხოლმე, იმ ზამთარს თავზე უცვრად დაყრილი ფულისგან და კიდევ, ვინ იცის, რისგან გახელებული კაცების და სამი ქალის თავმსაფრად იქცა.

ერთ დღესაც მეფის გამოქვაბულში რაიონში გაგზავნილი მალემსრობელი შევარდა, მუსლებზე დაემხო და შესძახა: დიდო მეფეო, ურჯულო თათრები შემოსულან ჩვენს ბაზარში და ქრისტიანებს მამასისხლად ასყიდებენ ყველსო...

ასე მოხდა ის, რაც მოხდა... მეფემ კვერთხი დაჰკრა ქვის იატაკს. აქ მომგვარეთ და დილეგში ჩაყარეთ ყველანიო! — ბრძანა. დედოფალი გიჟივით ხარხარებდა და თვალს ატრიალებდა. სიტყვა და საქმე ერთი იყო. უცებ დაცარიელდა იქაურობა. ეგრევე მორთულ-მოკაზმულები გამოვარდნენ სიმაგრეიდან, ქარაფის თავზე გამაღვანი ციცაბო ბილიკი სირბილით ჩაათავეს, იქვე დატოვებულ მანქანებში გაიტყვნენ და ცოტა ხანში ჯოხებით და კომბლებით შეიარაღებულნი ბაზარს შეესივნენ. ბერიკაობას თუ რაღაც ხალხურ დღესასწაულს ჰყავდა ეს ყველაფერი, სასაცილო ჩანდა და ამ დროს სასტიკი იყო, როგორც ყველაფერი ხალხური... აზერბაიჯანელები მიმხვდარან, კარგი რომ არაფერი ხდებოდა მათ თავს და გარ-

ბოდნენ თურმე აქეთ-იქით. ესენი დახლებს უტრიალებდნენ და უმტკრევდნენ. შეპყრობით მხოლოდ სამი მოიხელთეს, ისეთები, საქონელი რომ არ მიატოვეს. თავიანთ ყველს შეენივნენ. ვერც გაიგეს, ალბათ, რას ერჩოდნენ ან საიდან გაიგებდნენ, როცა თვითონ მეფემ და მისმა ქვეშევრდომებმა არ იცოდნენ, რა სჭირდათ, რატომ იყვნენ ამ დღეში, რატომ იგდებდნენ აბუჩად ტყვეებს ან რატომ გამოკეტეს ცივ დილეგში. თებერვლის იმ ღამეს კიდევ მაგარი ყინვა დაიჭირა, ისეთი, რომ ნავთით გამთბარ და გაჭვარტლულ მუფის პალატაშიც კი შესცივდათ. მაინც მთელი ღამე იქეფეს, ურჯულოზე გამარჯვებას აღნიშნავდნენ. „მამა-პაპათა ძვლები შევაჯანჯღარეთო!“ — მეფე გაჰკიოდა და დედოფალა თვალეში შესცივინებდა. ტყვეები დილაზე არავის გახსენებია, სანამ ვილაცას ყველაზე შეფხიზლებულს ან სინდისიერს არ მოუკითხავს.

ორი გადარჩა, მესამე გაიყინა. დიდხანს ზილეს, არაყიც ასხეს პირში, მაგრამ მკვდარ კაცს როგორ მოაბრუნებდნენ! ეს გამოფხიზლება იყო. დაიშალა მეფის ამაღლა, ვინ საით გარბოდა და ვინ — საით. ერთმანეთს თვალს არიდებდნენ და ისე მიიძურნებოდნენ. ზოგი გაქცევის წინ გადარჩენილ ვაჭრებს აჯანჯღარებდა და ყურში ჩასძახოდა: ხო იცით, რომ არ გვინდოდა! მილიციას უთხარით, რო არ გვინდოდაო! მილიციამ მათ რამდენიმე საათში მიაკითხა და სალამოსთვის უკვე ყველა სათითაოდ ჰყავდა სახლებიდან ნამოკრეფილი. იმ ძნელადგასაკვირებელ დროსაც კი ყველას უკვირდა, დამალვა არც ერთს რომ არ უცდია. ალბათ იფიქრეს, რომ დამალვა მათი დანაშაულის დასტური იქნებოდა, მათ კი დანაშაულის ჩადენა არც უფიქრიათ, გაბრუნებულები იყვნენ, გადაამეტეს, მაგრამ არ უნდოდათ. უბრალოდ თამაშობდნენ და ამ თამაშ-თამაშში შემოაკვდათ კაცი...

— და სასჯელი? — მეკითხება ინგლისელი, როცა ხვდება, რომ თხრობის გაგრძელებას აღარ ვაპირებ, — შენ სასჯელი ასხენე...

— სასჯელი იყო, ოღონდ ისეთი — არა, მოსამართლე რომ ჩაქუჩს დაჰკრავს და განაჩენს გამოაცხადებს. მაშინ ჯერ ჩვენ მოსამართლეებს ჩაქუჩები და მანტიებიც არ ჰქონდათ. სასამართლომდე რომ მისულიყო საქმე, მთავარი დამნაშავე მეფე გამოვიდოდა, მეფეს კიდევ მამა ჰყავდა ისეთი, რომელმაც სასამართლომდე საქმე არ მიიყვანა. აზერბაიჯანლები გააჩუმეს, შეამინეს ან მოქრთამეს, იმთავითვე დიდად არ უცივდათ სამართლის ძებნა, შეიძლება, არც კი იცოდნენ, სად უნდა ეძებნათ. მთავარი სასჯელი ამ ხალხისთვის გიჟური თამაშიდან გამოფხიზლება, ისე იმ შიმშილიან, ცივ და უიმედო ყოფაში დაბრუნება იყო, თითქოს თორმეტჯერ დაჰკრა საათმა და დედოფალი და სეფექალები ისე შეძახებოდნენ იქცანო, ნაზირ-ვეზირები — ლოთებად და ბირჟავიკებად, ხოლო კაცისთვის, რომელიც ერთხელ იყო მეფე, ეს გამოფხიზლება ყველაზე მწარე უნდა ყოფილიყო. მგონი, მისთვისვე ჯობდა, ცოტა ხნით მაინც ჩამჯდარიყო ციხეში. მე მას ვიცნობ და ვიცი, რომ სინანულის კაცი არ არის. სინანული არც ციხეში შეეყრებოდა, უბრალოდ, ცოტა ხნით მოსცილდებოდა მამას, რომლის ჯიბრზეც, მგონი, ეს ყველაფერი გააკეთა, რომელმაც დაიხსნა, ციხეს გადაარჩინა და, როგორც ამბობდნენ, დიდხანს, ძალიან დიდხანს დაუფლობდა სვეტს. ისე იქ დაბრუნდა — თავის კერაზე, საიდანაც არსაფრთხილად წასასვლელი და არც იყო წამოსვლელი. კიდევ უფრო უნიათო დაბრუნდა, ვიდრე მეფობამდე იყო... მაგრამ, მგონი, დაბლა ჩასვლა უნდა დაეინყყო, თუ გვინდა რომ ნაკრძალს დაღამებამდე მივალწითო, ეგრე უკაზე ჩანს ახლოს, თორემ იქით მიმავალი გზა ძალიან ცუდია...

ვაშლოვანისკენ მიმავალი გზა კიდევ უფრო ცუდი აღმოჩნდა, ვიდრე მახსოვდა — დეოფლისწყაროს მერე ვერგევი გაუუჭდა, ქედების გადასახვევამდე კიდევ ასატანი იყო და მერე ერთ დიდ ჯანჯღარად იქცა. მაგრამ ინგლისელი ყველაფერს იტანს, თითქოს სისხლი აქვს სირთულეების არშემჩინება, თანაც წინ ნამდვილი სასწაული გველოდება. სექტემბრის ბოლო დღეებია და მტაცებელთა მიგრაცია თითქოს ჩავლილი უნდა იყოს, მაგრამ მაგათ რას გაუგებ?! თითქოს ჩვენს გასართობად შირაქის ველზე ყველამ ერთად მოიყარა თავი. გადაფრენით დალილი

დიდი და პატარა მტაცებლები ყველგან სხედან — გზის გასწვრივ ქარსაცავის ხეებზე, სადენებგაძარცულ დენის ბოძებზე და მინდვრებიდან ამოჩრილ კუნძებზე. ვინღა უყურებს კაკაჩებს? ველის არნივები სულ ახლოს გვიშვებენ, ისე, რომ სანამ ზანტად აფრინდებიან, ინგლისელი და მეც მათ გადავლებას ვასწრებთ. ერთ-ერთი ბოძიდან ბექობის არნივიც ფრინდება. მცირე კირკიტებიც გამოერევიან აქა-იქ, მინდვრებს ძელქორები დასტრიალებენ, მოკლედ, საგჟეთია ნამდვილი... და როცა მინიდან დიდთავა და ჭრელკისერა უზარმაზარი ფრინველი ფრინდება და, თითქოს საკუთარი სახელის გასამართლებლად, მის კლანჭებში მომწყვედულ გველს ვხედავთ, ინგლისელს საბოლოოდ უკეთდება ხასიათი...

— მე გველიჭამია არნივები ჰობრალტარზე მინახავს ზუსტად წელიწადის ამ დროს. ჩემს თვალწინ ასობით გადადიოდ-



ნენ ჰობრალტარის სრუტეს და ზოგს გველიც კი ეპყრა კლანჭებში. საოცარია, არა? ევროპიდან აფრიკაში საკუთარი საკვებით მიემგზავრებოდნენ. დაუფინყარი სანახაობა იყო...

მელიმბა. ვიცი, საითაც წაიყვანს ეს მოგონება. ვიცი, ახლა თვითონაც გადავა ჰობრალტარს და იქ აღმოჩნდება, თავის ჯეელობაში... შეუძლებელია, ჰობრალტარის პირას მყოფი იქით არ გაემუროს. არც ტანჯერი და არც კასაბლანკა, არც საჰარის ოქროსფერი ქვიშებისკენ უჭირავს გეზი... ალჟირში, ატლასის მთებში აღმოჩნდება, სადაც სრულიად ახალგაზრდა იქაური ჯიშის გამხდარ, შეუხედავ, მაგრამ საოცრად გონიერ ძალღრღნის ერთად ბერბერიულ კაკებზე ნადირობს. მე ძალიან მეძნელება ამ კაცის, თუნდაც ახალგაზრდად, თოფით ხელში წარმოვადგენა, მაგრამ მატყუარას არ ჰგავს და თანაც, მის ნაამბობ უთვალავი ამბიდან ყველაზე მეტად ალჟირული მოგონებები მომწონს იმიტომ, რომ მათში არის რაღაცა კარგი და გაუხუნებელი... ალჟირი მანამდე იყო, სანამ ვილაც მიიჩნებოდა, რომ კვიცი უკვე გახედილი იყო და დიდ თამაშში ჩააბამდა. მისი დანარჩენი მოგონებები ოდნავ ბებრულად გაბუქებული მშრალი ფაქტები და ანალიზია, იყო კიდევაც ანალიტიკოსი, იმ ომში ხომ ანალიტიკოსები ომობდნენ... ოღონდ, ალჟირში რომ ლაპარაკობს, სულ გავიწყდება, ვინ იყო, რის ცივი ომი, რის ჯაშუში?! შენს თვალწინ გადაიქცევა ყბედ მოხუცად, რომელიც გაიმბობს საუკეთესოს, რაც გადახდენია: ბაზრის ხმაურები, გემოები, სურნელები... ატლასის მთების კლდეებზე ამოსული ღვიის ბუჩქების სურნელი, რომელიც ძლიერ მოსახელთებელ არომატად მათ ბინადარ კაკებებსაც დაჰყვება... როგორი ნადირობები იყო და ძალიან კიდევ, როგორი ჭკვიანია... და როგორ თანობს, დღემდე ნახობს, რომ ინგლისში იან ვერ წაიყვანა...

ერთი კვირის წინ, როცა ფრინველთა მიგრაციას აჭარაში ვადევნებდით თვალს, მომიყვა, სამოციანი წლების ბოლოს რუსეთში როგორ ჩაუვარდა მისია, რის მერეც საბჭოთა კავშირიდან გააძევეს და „პერსონა ნონ გრატა“ გამოაცხადეს. სწორედ მას მერე ჩაუჯდა საბჭოეთიდან დასავლეთში მალვით გადაგზავნილ „სამიზნადატად“ ნოდებელი დოკუმენტებს და ლონდონში მათი მთავარი გამაანალიზებელი გახდა. მისი მისია კი რომელიღაცა

ციხეში მყოფი რუსი დისიდენტის ცოლის რკინის ფარდის იქით მალულად გადაყვანას ეხებოდა. იმ ქალმა ბევრი რამ იცოდა, მაგრამ მისია ჩავარდა... მაშინ უბრალოდ ის ვკითხე, რაც პირველი მომადგა ენაზე...

— იმედი მაქვს, იმ თქვენი მისიით არავინ დაზარალებულა... ფარდის აქეთ დარჩენილებს ვგულისხმობ...

სანამ თვალს ამარიდებდა და ისევ ტელესკოპში გაიხედავდა, დავინახე, როგორ უსიამოვნოდ მოეღრცა სახე. გალიზიანდა.

— ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუკი შავი ზვირის გასწვრივ ამდენი კრანახაჭამია არნივი ახდენდა მიგრაციას. ეს ნამდვილი ილბალია, ნამდვილი შოუ...

მაგრამ მე ხომ მისი სახე დავინახე. სულ ერთი წამით, მაგრამ მეყო. ამ სახეზე არც სინანული იყო, არც ბრაზი, მხოლოდ ჩემი უადგილო შეკითხვით გალიზიანება, რომელიც მეც გადმომედო და ჩვენ ორს

შორის ბზარივით დაალო პირი. ახლა მხოლოდ ტელესკოპისკენ დახრილი მოხუცის დაჭმუშნულ, წვრილ კისერს ვხედავდი და აზრად მომივიდა, რომ შიშველი ხელითაც სულ ადვილად მოვახრებოდი. ჩემი სურვილის წინააღმდეგ გაჩენილმა გალიზიანებამ სრულად გადაფარა მისი დახვეწილი მანერები და ყურისთვის საამო ბრიტანული ინგლისური, უზადო რუსული, ოდნავ ბალტიისპირული აქცენტით — როგორც თვითონ ამბობს (მაშინ ახალგაზრდობაში მოსკოვში ახლადგაცნობილ ადამიანებს ჩემი ინგლისელობა აზრად არ მოსდიოდათ და ყველას ბალტიისპირელი ვეგონე), ზრდილობა და მოსმენის უნარი, ყველაფერი, რასაც ეს უცნაური კაცი თითქოს ასხივებს გარშემო... საიმოვნებით დავამატებდი ხელგაშლილობასაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი ინგლისელის ჩვეულები მსგავსი არც სისუსტე მოიპოვება და არც ღირსება... ისე კი, არა უშავს, სასიამოვნო კაცია, განსაკუთრებით მაშინ, როცა, როგორც ახლა, ალჟირზე მიამბობს. დაცემული შირაქის ველზე კი აღებულ პურის და მზესუშირის ყანებს ქარაშტივით დასტრიალებს ტორილების და შოშიების ათასიანი გუნდები. მალე ესენიც სამხრეთისკენ დაიძრებიან...

— მაშინ, როცა ალჟირში მოვხვდი, ფრანგები სულ ორიოდე წლის წასულები იყვნენ. საშინელი ომის მერე ქვეყანა ფეხზე დგებოდა და ომისგან დატანჯული ალჟირელები მაინც ბედნიერები იყვნენ. ჩვენ დასავლეთში აღარ გვაქვს, დაკარგეთ ნიჭი გავიხაროთ ელემენტარული რაღაცებით. იქაური ადამიანები კი, სიდუხჭირის მიუხედავად, ძალიან სტუმართმოყვარეები იყვნენ. ამდენი დრო გავიდა და, თითქოს, იქ გატარებული ორი წლის ყოველი დღე მახსოვდეს. უცნაურია, არა? წამოსვლის წინ საკუთარი თვლით სამხედრო გადატრიალება ვნახე... გაგიგონია რამე 1965 წლის სამხედრო გადატრიალების შესახებ?

მხრებს ვიჩეჩავ — არა, საიდან?! — მაშინ ქვეყნის პირველი პრეზიდენტი აჰმედ ბენ ბელა საკუთარმა თავდაცვის მინისტრმა ჩამოაგდო. თანაც ეს ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე გააკეთა ისე, რომ ყველას კინოს გადაღება ეგონა. მაშინ იტალიელები იღებდნენ გახმაურებულ ფილმს „ბრძოლა ალჟირისთვის“. არც ეს ფილმი გაგიგია? ოოო, აუცილებლად უნდა ნახო! ეს ყველაზე რეალისტური ფილმია,

რაც კი პარტიზანულ ბრძოლაზე და ტერიტორიულად გადართობა. ერაცში შესვლის წინ პენტაგონი ამ ფილმს ამერიკულ ჯარისკაცებს აჩვენებდა, რათა სცოდნოდნენ, რისთვის უნდა ყოფილიყვნენ მზად. ფილმი ფრანგების წინააღმდეგ მებრძოლი ერთ-ერთი ალჟირელი ლიდერის მემორუბს ეფუძნება და, თუ სწორად მახსოვს, მისივე დაფინანსებული იყო. უფრო მეტიც, ამ კაცმა კინოში საკუთარი თავი ითამაშა.

მასობრივ სცენებში მრავალი ალჟირელი მოხალისე მონაწილეობდა, ჩართული იყო შეიარაღებული ძალებიც, მძიმე ტექნიკა... ამიტომ ზაფხულის იმ დღეს არავის გაკვირვება ქუჩაში ტანკების გამოჩენა. მე და სხვა მრავალი ინგლისელი ბრიტანეთის საელჩოს აივანზე ვსვამდით კოქტეილს — რაღაც მიღება იყო და, ჩვენი აზრით, გადასაღები მოედნისკენ მიმავალ ტანკებს ვუცქერდით, როცა უცებ ტანკებმა გეზი იცვალეს, მარჯვნივ გადაუხვიეს და პირდაპირ პრეზიდენტის სასახლის ალყაფი შეანგრის... ასე უბრალოდ, ჩემს თვალწინ მოხდა გადატრიალება...

— მოემზადეთ, ეხლა რაღაც განსაკუთრებულს დავინახავთ...

მე თვითონ ამ ხედს ვერასოდეს ვეგებები გულისფანცქალის გარეშე. ბოლო აღმართი, ხრიოკი, ბორცვებიანი ზეგანი მკვეთრად წყდება მაღალი ფლატეებით შემოსაზღვრული ქვაბულის კიდზე და დაბლა ზოლად გაჭიმული ვაშლოვანის ნაკრძალი ჩანს. საკმლის ნათელი ტყით დაფარული აფრიკული სავანის მსგავსი რამ. ამინდი კარგია, შემოდგომის ჰაერი — გამჭვირვალე და ხედავ — იდეალური. შორს, დიდი და პატარა ჩრდილებად ნოდებული ქედების და დაცემული ველების იქით, მინგეჩაურის წყალსაცავის კონტურები მოჩანს. მზე ჩადის და თითქოს ნითელი ალი ედება აქაურობას. თრიმლის ბუჩქებსაც უკვე ალაგ-ალაგ შერევია სინითლე...

— შენ კარგად ყვები, იმდენად კარგად, რომ შეიძლება ადამიანს ეჭვი შეეპაროს, საკუთარ გამოცხადებულ ხომ არ ყვები, როგორც დღეს მიაბზე იმ მეფის ამბავი. საიდან იცი ამდენი დეტალი? ასე კარგად იცნობ „კაცს, რომელიც მეფე უნდა ყოფილიყო“?

უკვე დანაყრებულები სიბნელეში ვსხედვართ ნაკრძალის რეინჯერთა თავშესაფრის ვერანდაზე გამოტანილ სკამებზე. მოგზაურობის ათ დღეში ეს ძილისწინა საუბრებიც რაღაც რიტუალის მსგავს ამბად გვექცა.

— მე მამამისს ვიცნობდი კარგად...

— ძალაუფლების მოყვარულ კაცს, რომელიც საბჭოთა კავშირის მსხვერვის შემდეგ უპატრონოდ დარჩენილ ტექნიკას და მიწებს იტაცებდა? ხედავ, დავიმახსოვრე!

პატარა ბავშვივით ეამაყება და უხარია საკუთარი მესხიერება. ესეც ბებრული ამბავი უნდა იყოს...

— დიახ, სწორედ მას... საინტერესო კაცი იყო.

— და ის დაიღუპა?..

— არა, რატომ?

— შენ მას წარსულ დროში ახსენებ.

— მართლა? საინტერესოა. არ დაღუპულა, ცოცხალია, ოღონდ დაკარგა ის, რითიც მაგარი იყო. მგონი, მოკვდაცია ჰქვია ამას. ჰო, ალბათ მოტივაცია დაკარგა და კიდევ — თავის საბრძანებელი ადგილი...

— როგორ? ისიც მეფე იყო?

— მეფე? შეიძლება ითქვას, მაგრამ — არა. მეფე არა! მე მას უფრო ბატონს დავარქმევდი. აი, თქვენ რომ ლენდ ლორდს ეძახით, მინის ბატონი — მეამაღლე. ის მართლა შუა საუკუნეების ტიპის ბატონი იყო. ბრძოლით მიიტაცა მინა და მკაცრი ხელით მართავდა. ოღონდ მისი მამული ყველაზე უნაყოფო რამ იყო, რაც კი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს. ზაფხულობით იქ უბრალოდ ჯოჯოხეთია — გავარვარებული ტაფა, თიხნარი მინა, სადაც გახარებით არაფერი ხარობს, და ბუდობს ყველაფერი, რასაც კი შხამი აქვს და იკბინება. თუკი მეფე იყო, მხოლოდ გველებს, ობობებს და მორიელების მეფე...

— და შემიძლია გკითხო, როგორ გაცივანი?

— მე ხშირად ვიყავი მისი სტუმარი. იქაურობა — მისი მამული — ძალიან მიყვარდა.

— და თვითონ ის კაცი? ბატონი?

— არა, მგონი, მე ის არასოდეს მყვარებია...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პირველ და მეშვიდე გვერდებზე ავტორის ფოტოები



რამდენიმე თვის წინათ, როდესაც შევედითიდან დაბრუნებული მთარგმნელი ნინო ქაჯაია აღფრთოვანებული მიყვებოდა იქაურ ბიბლიოთეკებზე, შვედი მკითხველების კეთილი შურით შემშურდა. ნინო საბავშვო ბიბლიოთეკებში იყო და იქ გადაღებული ფოტოები რომ მაჩვენა, მივხვდი, რატომ არის ეს ქვეყანა ერთ-ერთი პირველი მკითხველთა რაოდენობით.

ქართულ სინამდვილეში ძალიან ცოტაა ბიბლიოთეკა, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს პასუხობს. მოგვწონს თუ არა, ახალი ტექნოლოგიები ახალ მოთხოვნებს ბადებს და ფეხი თუ არ ავუწყვეთ, შორს ვერ წავალთ. მკითხველთა ნაწილის, ძირითადად, უფროსი თაობის ადამიანებისთვის, ბიბლიოთეკა მტვრით დაფარულ თაროებთან და ძველი წიგნების სუნთან ასოცირდება, თუმცა XXI საუკუნის ევროპულ ქვეყნებში მან სხვა დატვირთვა შეიძინა. თანამედროვე ბიბლიოთეკებში ბეჭდურ გამოცემებთან ერთად ელექტრონულიც ინახება და წიგნის გატანა-შეტანის გარდა, სხვა, უფრო ფართო დატვირთვაც აქვს. ასეთ ბიბლიოთეკებს მედიათეკები ეწოდება და მათი რიცხვი უცხოეთში დღითიდღე იზრდება.

ვაკის მედიათეკა, რომელიც ვაკის პარკის შესასვლელთან მდებარეობს, თბილისის მედიათეკების გაერთიანების პირველი მერცხალია. ის ქალაქის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის. დედაქალაქში სულ 5-6 მედიათეკის გახსნა იგეგმება. ერთი უკვე აშენდა ვარკეთილში და უახლოეს მომავალში ამოქმედდება. წლის ბოლომდე თბილისის კიდევ ორი ფილიალი შეემატება: ერთი გლდანში, მეორე, სავარაუდოდ, ნაძალადევაში. ორგანიზატორთა მიზანია, თანამედროვე ბიბლიოთეკები თბილისის სხვადასხვა რაიონში არსებობდეს, რათა რაც შეიძლება მეტ ადამიანს ჰქონდეს მათი მომსახურებით სარგებლობის საშუალება. ჯერჯერობით კი მსურველებს ვაკის პარკში ელიან.

მიუხედავად იმისა, რომ მედიათეკა ორი თვის გახსნილია, უამრავი მკითხველი ჰყავს. განსაკუთრებული ხალხმრავლობაა შაბათ-კვირას, როდესაც დიდებიც და პატარებიც ერთად იყრიან თავს. პატარა მკითხველი აქ განსაკუთრებულ პატივშია.

გარემო, რომელიც წიგნის სამყაროში მოსულ ადამიანს ხვდება, ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, ბავშვებისთვის. ამან შეიძლება კიდევ უფრო გაუღვივოს ან პირიქით, ჩაუკლას მომავალ



მკითხველს წიგნთან ურთიერთობის სურვილი. მედიათეკაში ყველა პირობაა შექმნილი, რათა ბავშვებმა კითხვა შეიყვარონ. ამისთვის უამრავი ლამაზი წიგნი შეიძინეს. ნაწილის გატანა შეიძლება, ნაწილი კი პატარა მკითხველები დაბავშვივ სარგებლობენ, უფრო სწორად, თამაშობენ. „დარბაზი“ პირობითი ნათქვამია, რადგან მთელი მედიათეკა ერთიანი გახსნილი სივრცეა, რომელიც შუშის „გარსითაა“ დაფარული. ზოგადად, შემსული ნაგებობები მაინცდამაინც არ მხიბლავს, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როდესაც იდეისა და დიზაინის ავტორებმა ზუსტად იციან, რა სურთ. შენობა იმდენად ბუნებრივად ერწყმის ლანდშაფტს, მედიათეკაში შესულს თავი ღია ცის ქვეშ გგონია. გასაკუთრებით მომხიბლავია ეს ყველაფერი კარგ ამინდში, როდესაც მზე ანათებს, შენ კი მწვანეში ჩაფლული ზიხარ და საინტერესო წიგნს ფურცლავ.

წიგნები მედიათეკაში ბევრია — ნახევრი და ელექტრონულიც. არჩევანი თქვენზეა, რა ფორმით ამჯობინებთ კითხვას. ბეჭდურ ფონდს რაც შეეხება, ახალ თაროებზე მხოლოდ ახალი წიგნები აწყვიდა. მათი უდიდესი ნაწილი 2000 წლის შემდეგაა გამოცემული. როგორც მედიათეკის დირექტორი მაკო ჭოლოშვილი მიხსნის, ეს შეგნებული გადანყვებილება: „სამწუხაროდ, რარიტეტულ წიგნებს ჩვენთან ვერ იპოვით, სამაგიეროდ, გვაქვს თითქმის ყველაფერი, რაც 2000 წლის შემდეგ გამოვიდა. ქართული ოჯახების დიდი ნაწილი ბიბლიოთეკების ახალ-ახალი წიგნებით განახლებას ვერ ახერხებს იმ უბრალო მიზეზით, რომ ძვირია. რადგან ეს პრობლემა არსებობს, ვცდილობთ,

შევიძინოთ ისინი და მკითხველს მივანოლოთ. საბავშვო წიგნები კიდევ უფრო ძვირი ღირს. ეს ყველაფერი ჩვენთან ხელმისაწვდომია და ალბათ, ამიტომაც არის მკითხველის მხრიდან ასეთი ინტერესი.“

მედიათეკის წიგნის თაროებზე სხვადასხვა ჟანრის წიგნებს იპოვით რამდენიმე ენაზე. აქ არის მხატვრული, სამეცნიერო, დარგობრივი, შემეცნებითი, საბავშვო ლიტერატურა. კიდევ ერთი პრიორიტეტია — სტუდენტები და მათთვის საჭირო წიგნები. იმის გამო, რომ ამ ტიპის გამოცემებიც ძვირია, მედიათეკის ხელმძღვანელები მათთვის ყველაზე საჭირო წიგნების შექმნას ცდილობენ. ნუსხას სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის რექტორებთან კონსულტაციების შემდეგ ადგენენ. თანამშრომლობენ უცხოურ ორგანიზაციებთანაც, რომლებიც მედიათეკას წიგნებს უსასყიდლოდ გადასცემენ. მათ შორის არიან ამერიკის საელჩო, დიუმას ცენტრი, ფრანგული სკოლა, სოროსის ფონდი, ევროსაბჭო. მოლაპარაკებები მიმდინარეობს შევედეთის ინსტიტუტთან, რომელმაც ამ პროექტში ჩართვის სურვილი გამოთქვა. ასე რომ, მკითხველს სხვადასხვაენოვანი ლიტერატურის გაცნობა შეუძლია. დღესდღეობით არსებობს ბეჭდური რესურსი ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე.

რაც შეეხება ელექტრონულ ფონდებს, აქ შესაძლებლობა კიდევ უფრო დიდია. მედიათეკას მრავალფეროვანი ელექტრონული ფონდი აქვს. თავისთვის საინტერესოს თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენელი იპოვის. ამჟამად აწარმოებენ მოლაპარაკებებს მსოფლიოს სხვადასხვა გამოცემლობასთან უახლესი

რესურსების შესაძენად. ამ სფეროში ძირითადად შეგნებული ადამიანები მუშაობენ და ჩვენი ვითარებიდან გამომდინარე, გამოცემებს ევროპულისგან განსხვავებულ ფასად გვაძლევენ. გასული წლის რესურსები უფასოდ შემოღის, ახალი კი — მნიშვნელოვანი შეღავათით, მიხსნის ქალბატონი მაკო.

ელექტრონული ფონდებით სარგებლობა მედიათეკის ნებისმიერ წევრს შეუძლია. ამისთვის სპეციალური სივრცეა გამოყოფილი, სადაც 15 კომპიუტერი დგას. ბიბლიოთეკარი სპეციალურ პროგრამაში შეგიყვანთ, სადაც თქვენთვის სასურველი მასალების მოძიებას შეძლებთ როგორც ქართულად, ასევე სხვა ენებზეც. შესაძლებელია მასალების ამობეჭდვაც, თუმცა რესურსების ჩანწრისა და ამ სახით გატანა არ შეიძლება, ელექტრონული გამოცემლობები კრძალავენ.

მედიათეკაში მულტიმედიური დარბაზიც მოქმედებს, სადაც კვირაში ერთხელ, პარასკეობით, კინოჩვენება შედგება. სხვადასხვა ასაკის მკითხველისთვის შესაბამისი ფილმები იქნება ნაჩვენები. თანამედროვე ფილმებს რეჟისორები თავად წარადგენენ, მოყვებიან საინტერესო ამბებს გადაღების შესახებ, ჩვენების შემდეგ კი დისკუსია გაიმართება. რაც შეეხება ძველ ფილმებს, მათზე რომელიმე მოწვეული კინომოციფი ისაუბრებს.

შაბათ-კვირა ბავშვების დღეა. 12-დან 17 საათამდე მათთვის სხვადასხვა ღონისძიება დაგეგმილი: 12-დან 14 საათამდე კითხვის დროა: სულ პატარებს (და მათი რიცხვი უკვე დიდია) სპეციალურად დაქირავებული მსახიობები ზღაპრებს უკითხავენ, მოზრდილები კი თავად კითხულობენ. მედიათეკის დირექტორი „წინა ცხოვრებაში“ პედაგოგი გახლდათ და 22-წლიანი გამოცდილება პატარა მკითხველებთან სწორად მუშაობას უადვილებს. „6-დან 10 წლამდე ბავშვებს თავად ვაკითხებთ, ხმამალა კითხვას ვაჩვენებთ და როცა ამას ბედავენ, ჩუმად კითხვა ძალიან უადვილდებათ“, — ამბობს მაკო ჭოლოშვილი.

კითხვის საათის შემდეგ მულტიფილმების დრო დგება. 15-დან 17 საათამდე მულტიმედიის ოთახში მულტიპლიკაციურ ფილმებს უჩვენებენ. ხუთშაბათობით საინტერესო ადამიანებს შეხვედებიან, რომელთაც თავად მკითხველი შეარჩევს. ესენი მხოლოდ მწერლები არ იქნებიან, სტუმრად სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს ელიან, რომელთაც შესაბამის აუდი-



ტორიას დაახვედრებენ. ამ ეტაპზე ეს პროცესი „ფეისბუქით“ ხორციელდება, უახლოეს მომავალში კი ვებგვერდიც ექნებათ, სადაც საინტერესო ამბებსა და სიახლეებს განათავსებენ, ჯერჯერობით თავიანთ მეგობრებს ისევე „ფეისბუქითა“ და ტელეფონით ეხმებიან და დაგეგმილ ღონისძიებებზე ეპატივებიან.

მედიათეკის თანამშრომლებისთვის მკითხველის აქტივობა ძალზე მნიშვნელოვანია. მათგან წამოსულ ნებისმიერ ინიციატივას მიესალმებიან და კულტურული აქტივობების დაგეგმვაში ჩართვას სთხოვენ. უკვე ბევრი „მრჩეველი“ ჰყავთ. განსაკუთრებით სტუდენტები აქტიურობენ, რომელნიც სხვადასხვა საინტერესო იდეას სთავაზობენ. ზაფხულში მათთვის რამდენიმე კონკურსის გამართვას გეგმავენ, მათ შორის იქნება კონკურსი ლიტერატორებისა და მხატვრებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვის წინ გაიხსნა, მედიათეკას უკვე უამრავი წევრი და მეგობარი ჰყავს. იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე ელოდნენ, ეს კი იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ მოსაზრება, თითქოს საქართველოში კითხვა არ უყვართ, არასწორია. „ინტერესი ძალიან დიდია. ახლა დარბაზში ზის გოგონა, 3 წლის მართა, რომელიც უკვე ჩვენი მკითხველია. ყოველდღე დადის მამასთან ერთად და წიგნებს კითხულობს. ერთი ბიჭი გვყავს, 10 წლის. ისიც ყოველდღე გვსტუმრობს. დარწმუნებული ვიყავი, პარკის გადაღმა ცხოვრობდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საბჭოს ქუჩაზე ცხოვრობს. ასეთები ბევრნი არიან, რაც იმედს მძლევეს, რომ მკითხველი წიგნს დაუბრუნდება.“ — მეუბნება მაკო ჭოლოშვილი.

მედიათეკის გახსნამდე ქალბატონი მაკო გამოცდილების გასაზიარებლად რამდენიმე ქვეყანაში იმყოფებოდა. ყველგან – საფრანგეთში, გერმანიაში, შვედეთშიც კი, რომელიც პირველ თუ მეორე ადგილზეა წიგნის კითხვის თვალსაზრისით, ბიბლიოთეკარებისგან ისმენდა სიტყვებს, რომ ყველაფერს აკეთებენ მკითხველის „შესატყუებლად.“ „ამ ფრაზას რომ გეუბნებიან, ხვდები, მთლად მარტივად არ არის საქმე. იმისთვის, რომ ადამიანები „შემოვიტყუოთ“, ჩვენც გვაქვს ბევრი წინაპირობა. უპირველესად, სასიაშოვრო გარემო, კარგი წიგნები, კეთილგანწყობილი პერსონალი. ცოტა ხანში ჩვენს მედიათეკას კაფეც შეემატება, სადაც მომავალში შეხვედრებისა და პრეზენტაციების გამართვას ვაპირებთ. ყველაფერი ეს ერთად მკითხველს იზიდავს.“

რაც შეეხება ამ ყველაფრით სარგებლობის საფასურს, ერთწლიანი აბონიმენტი 15 ლარი ღირს და მასში შედის ის, რაზეც ზემოთ მოგიყვებოდა: ბიბლიოთეკითა და ელექტრონული ფონდებით სარგებლობა, უფასო WiFi, კითხვის საათი და მულტიფუნქციურ დასწრება ბავშვებისთვის, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, კინოჩვენებები და პრეზენტაციებზე დასწრება. უცხოეთში მედიათეკებით სარგებლობა გაცილებით ძვირია, თუმცა ჩვენთან ორგანიზატორებმა ქართული სინამდვილე გაითვალისწინეს. ეს თანხა, ძირითადად, ახალი წიგნების შესაძენადაა განკუთვნილი, რომლითაც მომავალში ჯერ კიდევ ცარიელი თაროები შეივსება. სასურველი წიგნები შეგიძლიათ თავადაც შეუკვეთოთ, ამისათვის სპეციალური ალბომი არსებობს, სადაც მკითხველები საკუთარ სურვილებს წერენ. საგულისხმოა, რომ მომავალში, როდესაც სხვა ფილიალებიც გაიხსნება, ამ აბონიმენტით ნებისმიერ სთავაზონ შეძლებთ სარგებლობას. თუ კონკრეტულ ფილიალში თქვენთვის საჭირო წიგნი არ აღმოჩნდება, სხვაგან მოიძიებენ და მეორე დღესვე დაგახვედრებენ. მაქსიმალური კომფორტი მკითხველს – ასეთია მათი დევიზი.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობა და შეხვედრები მედიათეკის კონცეფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, მისი მთავარი დანიშნულება მკითხველისა და წიგნის ურთიერთობაა. ამ ეტაპზე მედიათეკაში 8 ათასამდე ნაბეჭდი წიგნია და ეს ჯერ დასაწყისია. ცარიელი თაროები ახალ ბინადრებს ელოდება. გარდა იმისა, რომ საკუთარი სახსრებით გააგრძელებენ მათ შევსებას, ამ პროცესში მონაწილეობას მკითხველსაც სთავაზობენ. ყველას, ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია მედიათეკას საკუთარი ბიბლიოთეკიდან წიგნი (ან წიგნები) აჩუქოს. ვფიქრობ, ამ წამოწყებას ბევრი გამოიხემაურება. მით უფრო, რომ შესაძლოა სწორედ თქვენმა საჩუქრამ შეუწყოს ხელი კიდევ ერთი ახალი მკითხველის დაბადებას.

ნანა კობაიძე



„ლიტერატურული გაზეთის“ ანკეტა გივი ალხაზიშვილი

— რას ნიშნავს თქვენთვის მაჩაბლის 13?

— მაჩაბლის ცამეტთან ახალგაზრდობის წლები მაკავშირებს. ის დრო თავის მოვლენებითა და აქტიური პერსონაჟებით დალექილია ხსოვნაში და დროდადრო თავს მაგონებს. მკაფიოდ მახსოვს იოსებ ნონეშვილი, რომ კონსტანტინე გამსახურდია ვამაცნო, როგორ შემათავლიერა ბატონმა კონსტანტინემ და ხელი გამომიწოდა. მაშინ ყმანვილი ვიყავი და ეს ფაქტი და მოგვიანებით მწერალთა კლუბში კონსტანტინე გამსახურდიას უაღრესად კოლორიტული გამოსვლა სამუდამოდ დამამახსოვრდა. ბატონმა კონსტანტინემ მოიბოდიშა, შეხვედრაზე რომ დაავიანა და მიზეზი აუხსნა დამსწრე სააზოგადოებას. ბოდიშს ვიხდი, რომ დავავიანე, არ მიყვარს დავიანება, მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. რუსთაველის გამზირი თითქმის გადავსებულ იყო ხალხით და მანქანა შეფერხდა, როგორც ვაგივე, ვილაღვ განგსტერ ქალს კრძალავდნენ და მოძრაობა იქ შეკრებილმა ზღვა ხალხმა, სამგლოვიარო პროცესიამ შეაჩერაო.

ის განგსტერი ქალი, როგორც ბატონი კონსტანტინე ამბობდა, ულამაზესი მედიკო მეტურისივითი გახლდათ, ნარკოტიკის ზედმეტ დოზას რომ ემსხვერპლა და რომელზეც ლეგენდებს ჰყვებოდნენ, უბატონოდ ვერავინ ხმას ვერ სცემდა და ერიდებოდნენ კიდევ მასთან პირისპირ შეხვედრას, მეტადრე რაიმე უსიამოვნებას. მასხოვს მაშინ ვაგრცელებული ამბავი, მთელი თბილისი რომ იმეორებდა დიდხანს, როგორ გაიკეთეს ვენაში მორფინი მედეამ და მისმა დაქალმა, იზა გოცაძემ, ჩემმა კურსელმა, როგორ შეეპარა წამალთან ერთად ჰაერი გამოუცდელ ლამაზმანს და ემსხვერპლა კიდევ ამ საბედისწერო ინექციას. იზა გოცაძემ მოგვიანებით ლექსები გამოაქვეყნა და მისი წიგნის გამოცემაში მეც მიმიძღვის რაღაც წვლილი. კონსტანტინე გამსახურდიამ შეხვედრა მწერალთა კავშირის კლუბში სწორედ იმ ტრაგედიის გახსენებით დაიწყო, მედეა მეტურისივითი რომ შეინირა და იზა გოცაძემ მაშინ იქცა პოპულარულ პერსონაჟად.

აი, პირველი მოგონება მაჩაბლის ცამეტთან დაკავშირებით, რომ არ მავიწყდება და თვალწინ მიცოცხლებს ცხონებულ იზა გოცაძეს თავის თავგადასავლებითა და შეუზღუდავი თავისუფლებით, გამორჩეული ადამიანობითა და ტრაგიკული ხვედრით.

მაჩაბელზე რომ ავივლი, ყოველთვის გაკრთება ხსოვნაში ბატონი ენიკოლოპოვი, სახელი აღარ მახსოვს, მთანმინდის პანთეონის დირექტორი, სამაგალითოდ ევროპულად გამოწყობილი, მოვლილბლანჟიანი და ყელზე შემბული „ბაბოჩკით“, საგრძობლად შენელებულია რომ გადაადგილდებოდა და მისი სარკესავით აპრიალეული ფესხაცმელები, ყველაფერს რომ ირეკლავდა და ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა მაჩაბლის ცამეტს. ენიკოლოპოვს მთანმინდის პანთეონზე წიგნი ჰქონდა გამოცემული. მიხანავს ის წიგნი შალვა ალხაზიშვილთან.

დამიწყებულთა დამიწყებლის დამიწყებელი, დავინწყებულს სულელება ქარს რომ დაჰყვება, ისინი ცვლიან რიტმებს, ქროლის მიმართულებებს, შენ რატომ ცდილობ, შემახსენო ჭკუის კოლოფო — ისე უყვარდა მწერ. კავშირი ენიკოლოპოვს, როგორც მთანმინდის პანთეონის დირექტორობა. („დავინწყებულთა რეკვიემი“)

როგორც ხედავთ, ენიკოლოპოვი დამკვიდრდა ჩემს წიგნში „ჩაბრუნებული მზერა“, იმდენად შეამბეჭდავი, გამორჩეულად უიშვიათესი ეგზემპლარი გახლდათ ჰაბიტუსით, უზანტესი მიხვრა-მოხვრით, რაც უფრო ასაკის შედეგი იყო და ამიტომაც აღარ ვადარებ ნანვიმარზე გამოსულ ლოკოკინას, შეუმჩნევლად რომ გადაადგილდება მესერზე, რომ არ იგრძნობა მოძრაობს თუ არა, მაგრამ საკმარისია, თვალი აარიდო და ისევე დაუბრუნდეს მოზოზინე ობიექტს, რომ აღმოაჩენ, რამხელა მანძილი გაუვლია. ლოკოკინა საათის პატარა ისარივითაა, ისე გადის, თითქოს არ გადის, მაგრამ ყველაზე სწრაფად ის გადის.

მესამე ეპიზოდი, რაც მკაფიოდ მახსენდება მწერალთა კავშირთან დაკავშირებით, ეს არის სამოცდაათიანელთა ხუთეულის წარდგენა მწერალთა დარბაზში. გიგლა სარიშვილი, თედო ბექიშვილი, ჯარჯი ფხოველი, მე და ვანო ჩხიკვაძე სამოცდაათიანი წლების პირველსავე წელს ვანწყობთ ჩვენს პოეზიის საღამოს მწერალთა კლუბში, რომლის სულისჩამდგმელი და ინციატორი იყო მორის ფოცხიშვილი. თავს უხერხულად ვგრძნობდით, უამრავი თვალი გვიყურებდა, ზოგი კეთილი ღიმილით, ზოგი დაუფარავი ირონიით და წონასწორობა ყალიბდებოდა ლექსის კითხვისას მიკვლეული ტემპით. ვერლიბრის გაგ-

ონებაზე უარყოფითმა რეაქციამ გადაურა დარბაზს. დაგვტუქსეს კიდევ, მაგრამ ნოდარ დუმბაძე გამოგვექომაგა: ვაცალოთ, ის, რაც დღეს ჩვენ გვაქვებს ან ნაკლებად მოგვწონს, ხვალ შეიძლება საყოველთაო გახდეს. გაიხსენეთ ახალგაზრდა სოციალისტები, ჩაუცემლები, ნახევრადმწიფრები დაწანალებდნენ და მარქსისტულ იდეებს ავრცელებდნენ. დევნიდნენ, სჯიდნენ, მაგრამ ბოლოს სოციალისტურმა რევოლუციამ დაგვანახა მათი ნამდვილი საქმე. ვაცადოთ, შეიძლება ამ ახალგაზრდებმაც გამოიჩინონ თავიო... სეფე-სიტყვა გრიგოლ აბაშიძემ წარმოთქვა. ვერლიბრზე შემწყნარებლურად ისაუბრა და სათითაოდ დაგვახასიათა, ხუთივეზე მონიშნა სიტყვიერი პორტრეტი. ეს გახლდათ ჩვენი მწერლური ნათლობა, რომელიც დღემდე მახსენდება როგორც ძალიან უხერხული და ხელოვნური დღე.

კონსტანტინე გამსახურდია გავიხსენე და ბუნებრივია მისი წიგნის სათაურს თუ მოვიგონებ — „ლანდებთან ლაციცი“. დიას, ახლა მხოლოდ ლანდებთან ლაციცია იმ დღეების აღდგენა, გაცოცხლება. თვალწინ გაკრთება ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე და ნამებული ნაზი შამანაური ანუ ისინი, დამოუკიდებლობის გზებს რომ ეძებდნენ და აქეთ ეჭირათ თვალი, სადაც ახლა ჩვენ ვარსებობთ და მწერალთა სახლის მომავალზე ვსაუბრობთ.

ზოგიერთ მწერალს რომ კითხო, ირონიულად ჩაიქირქილებს: მწერლებს ვინ ერჩოდა, რასაც უნდა იმას წერდნენ და აქვეყნებდნენ! ისიც თავის სიმართლეს ამბობს, მას და მისთანებს არავინ ერჩოდა, რადგან სოცრეალიზმში მოკალათებულები თავს კომფორტულად გრძნობდნენ.

— როგორ წარმოგიდგენიათ მწერალთა სახლის მომავალი?

— 2009 წელს დაიბეჭდა „ჩვენს მწერლობაში“ ჩემი წერილი — „მაჩაბლის 13“ — მწერალთა სახლის თაობაზე წამოწყებულ დისკუსიას რომ ეხმებიან. მოგვიანებით ეს ტექსტი ჩაერთო ჩემს წიგნში „მომავალი წარსული“ და 2010 წელს გამოიცა. არ გავიგებო, რას ვწერდი მაშინ. რამდენიმე წელია, მწერალთა ჯგუფი, მათ შორის როსტომ ჩხეიძე და მე, ვცდილობთ გასულ საუკუნეში ჩასახული იდეა, ოთარ ჩხეიძეს რომ ეკუთვნის — მწერალთა კავშირის სანაცვლოდ მწერალთა კლუბური ცხოვრების დამკვიდრების შესახებ — როგორმე რეალობად იქცეს.

რამდენიმე მინისტრი გამოიცვალა ამ წამოწყების დინამიკამ და როგორც იქნა დაფუძნდა მწერალთა სახლი. ჩემს არქივში შენახული მაქვს მინისტრებთან შეხვედრის რამდენიმე წერილობითი ოქმი. ამ ჩანაწერებს მალე გამოვაქვეყნებ. ჩემს „ოქმებში“ შენახულია სინამდვილე, რომელიც აღარავის ახსოვს, გარდა უშუალო მონაწილეებისა.

კარგა ხანია, რეგისტრირებულია წესდება, მონესრიგა და სამართლებრივი ბაზა მწერალთა სახლის ასამოქმედებლად და ახლა დარჩა მწერალთა სახლის პრეზენტაცია, რომელიც უახლოეს ხანში გაიმართება, თუმცა, მანამდე, ამჟამად, უკვე იმართება წიგნების პრეზენტაციები, ლიტერატურული შეხვედრები და თანდათან იკვეთება მწერალთა სახლის მომავალი, სადაც ნებისმიერ მწერალს, ამა თუ იმ სუბკულტურას შეეძლება საკუთარი შემოქმედების წარმოჩენა, წარდგენა.

აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მწერალთა სახლში აღარ იქნება მწერალ ჩინოვნიკთა ე.წ. კაბინეტები და ეს სივრცე მთლიანად დაეთმობა წინასწარ დაგეგმილ ღონისძიებებს. მწერალთა კავშირის წევრობა-არანევრობა არაფერს ნიშნავს და არც უპირატესობა და არც — ნაკლი. მწერალთა კავშირი, საბჭოთა სინამდვილის ავტოკრატული სტრუქტურა, რომელიც მოჩვენებით ხალხურობას და ფიქტიურ არჩევნებს ერთგულებდა, სადაც მწერალთა კავშირში განვევა ხორციელდებოდა დროდადრო, ახალ რეალობაში იქნება მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი სუბიექტი და მოუწევს სამართლებრივი ნორმების შესრულება.

გვინდა, რომ დროზე აღდგეს ბიბლიოთეკა, მოეწყოს წიგნის მაღაზია, მწერალთა სახლს უნდა ჰქონდეს თავისი ინტერნეტ-სივრცე, კაფე-ბარი, შეიქმნას მწერალთა ელექტრონული ბაზა და საფუძვლი ჩაეყაროს მხატვრული თარგმანისთვის საჭირო გარემოს შექმნას. მწერალთა სახლში შეიძლება შემოვიღოთ ლიტკონსულტანტის სამსახურიც.

ახლა, ფაქტობრივად: უკვე ფუნქციონირებს მწერალთა სახლი, მაგრამ მის სრულ ამოქმედებამდე საჭიროა, მიმდინარე კაპიტალური რემონტი დასრულდეს.

დასასრული

მნიშვნელოვანია ახალი გამოცემა „ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა“, სადაც ტაო-კლარჯეთის რეგიონთან დაკავშირებული ხელნაწერი ტექსტებია თავმოყრილი. იქვეა მცირე კატალოგი და ილუსტრაციები. გვაქვს ღვანდომოსილი მეცნიერის, ზაზა ალექსიძის სტატიების ორტომეული „ქრისტიანული კავკასია“ და მკვლევარის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული „კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“. ძალიან საინტერესოა ჩვენი უხუცესი თანამშრომლის, მიხეილ ქანთარას წიგნი „მუშაკი სულიერისა ვენახისაი“. აქვე წარვადგინებთ ელენე მეტრეველის, ილია აბულაძისა და კათალიკოს ამბროსი ხელაიას პირადი არქივების აღწერილობები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი საზოგადოებას სთავაზობს ძალიან მნიშვნელოვან პროექტს — სანქტ-პეტერბურგში დაცული XV საუკუნის ქართულ-ბერძნული ხელნაწერის გამოკვლევა-აღბომა და ამავე ხელნაწერის ფაქსიმილურ გამოცემას. ალბათ, ფესტივალის სტუმრებს სხვადასხვა ხელნაწერი ტექსტების მინიატურებით დამშვენებული ღია ბარათებიც დაინტერესებს.

ღალი ცომაია, საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების უფროსი: „თბილისის წიგნის ბაზრობას 15 წლის ისტორია აქვს და ჩვენ, როგორც მონაწილენი, ამ ისტორიის განუყოფელი ნაწილი ვართ. ძირითადად, ვაქვეყნებთ და წარვადგენთ მუზეუმში დაცულ ფონდებს. ამჯერად გამოტანილი გვაქვს საარქივო გამოცემითა ავტორების პირველი პუბლიკაციები. მათში სრულად არის დაცული ავტორების სტილი, პუნქტუაცია. ყველაფერი ხელუხლებლად დავტოვეთ, რადგან ლიტერატურისთვის ეს უფრო მნიშვნელოვანია. თანაც, დამეთანხმებით, უხერხულიცაა გალაკტიონს, მაგალითად, „რევოლიუცია“ შეუსწორო. მკითხველს ვთავაზობთ შალვა ამირეჯიბის ორტომეულს, მირზა გელოვანის, შოთა ჩანტლაძის, ოტია პაჭკორიას არქივებს. ასევე წარვადგინებთ ნიკიტა თალაკვაძის „მოქალაქე მღვდლის დღიური“, რომელიც იმ პერიოდის საეკლესიო ცხოვრებას ეხება. ერთი ლარი ღირს წიგნი სერიიდან „მწერლის უბის წიგნაკი“. ვფიქრობთ, თითოეული ეს გამოცემა საინტერესო ინფორმაციას ინახავს მკვლევარებისთვის, ლიტერატორებისთვის, ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისთვის“.

ნატა ლომოური, საქართველოს მწერალთა სახლის დირექტორი: „ფესტივალის




ფარგლებში რამდენიმე ღონისძიებას ვუმასპინძლეთ. ვფიქრობ, ეს ბუნებრივიც არის, რადგან მწერალთა სახლი ახალგაზსნილი კულტურული სივრცეა, რომელიც არა მხოლოდ ლიტერატურულ ღონისძიებებს მართავს, მწერლებს, მთარგმნელებსა და გამომცემლებს მასპინძლობს, არამედ ღია ყველა ხელოვანისთვის. ამიტომაც წიგნის ფესტივალის დახურვას მალევე ებმის ფოტოგამოფენის გახსნა. ფესტივალს კი დაასრულებს „პოეზიის ღამე“, რომელიც ჩვენთან გაიმართება“.

ჯარჯი ფხოველი, მწერალი: „ასეთი

მწერალთა ავტობიოგრაფიის ბარათებში



ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია



მწერლისთვის. მაგრამ მთავარი კი აი, რა არის — წიგნი იყიდებოდა — არ იყიდება; წიგნი იყოს იაფი — ძვირია. მართალია, გარკვეული ფასდაკლების აქციები იმართება, მაგრამ ეს არ კმარა, საზოგადოების უდიდეს ნაწილს წიგნის შეძენა უჭირს. არადა, ფესტივალზე საუცხოო წიგნებია გამოფენილი. ორი სიცოცხლე გინდა, ამდენი წიგნი რომ წაიკითხო. მე კი მკითხველი ვარ. საბჭოთა პერიოდი გასახსენებლადაც არ ღირს, მაგრამ მაშინ წიგნები ათიათასიანი ტირაჟით იბეჭდებოდა და კვირის თავზე ერთ ეგზემპლარს ძნელად თუ მიაგნებდი სადმე. ხშირად ჩემი ახალგაზრდა წიგნის ძიებაში რაიონებში მიწევდა ჩასვლა. აღარ იყო. ხალხს შემოსავალი ჰქონდა და წიგნიც იაფი ღირდა. თუმცა, ცხადია, ამ ღონის წიგნები მაშინ არ გამოდიო-

და. ადრე საბიბლიოთეკო საქმეც ძალიან კარგად იყო აწყობილი. ბიბლიოტეკორი უამრავ წიგნს ყიდულობდა. ბიბლიოტეკა არა მარტო რაიონულ ცენტრებში, თითქმის ყველა სოფელში არსებობდა. ყველაფრის მიუხედავად წიგნის პოპულარიზაციის, მეტი მკითხველის მოზიდვის თვალსაზრისით, ასეთი ფესტივალის გამართვა აუცილებელია. ამისთვის სარეკლამო საშუალებებიც უნდა იყოს გამოყენებული. ლიტერატურული სიახლენი ტელევიზიით, რადიოთი, პრესით ძალიან მწირად მიმოიხილება. კარგია, რომ ფესტივალი რამდენ-

იმდე გრძელდება. ყველა მსურველი მოასწრებს მოსვლას“.

დავით ბარამიძე, გამომცემლობა „პამპარი-99“-ის დირექტორი: „ჩვენ აჭარიდან ჩამოვედით. ვფიქრობ, ამგვარ ღონისძიებაში აუცილებელია, მონაწილეობდნენ გამომცემლობები რეგიონებიდან. მიუხედავად იმისა, რომ წიგნის გამოცემისთვის დიდი რესურსები არსებობს, რეგიონებში მოღვაწე მწერლების შემოქმედება მიუწვდომელია დედაქალაქის მკითხველისთვის. მაგალითად, ძალიან ნიჭიერი შემოქმედს, აფხაზეთიდან დევნილ ტარიელ ცხვარაძეს თბილისელი მკითხველი არ იცნობს, იგივეს ვიტყვი ზურაბ გორგილაძეზე, რომლის კრებულის პრეზენტაციაც თბილისში მხოლოდ პოეტის გარდაცვალების შემდეგ გაიმართა. ჩვენ ძალიან პატარა გამომცემლობა ვართ, მაგრამ ვცდილობთ, აჭარაში მოღვაწე ავტორების შემოქმედება მაქსიმალურად წარვადგინოთ. ძალიან სამწუხაროა, რომ ქუთაისიდან არცერთი გამომცემლობა და მწერალი ამ ღონისძიებაში არ მონაწილეობს. ყველაფერი მაინც ფინანსებთანაა დაკავშირებული. აქვე რომ მოვემგზავრებოდით, წინასწარ ვიცოდით, რომ ფესტივალში მონაწილეობა ფინანსური თვალსაზრისით მომგებიანი არ იქნებოდა ჩვენთვის. ინვენტარის, წიგნების ჩამოტანა, თანამშრომელთა ჩამოყვანა, ოთხდღიანი მივლინება — ეს გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, მაინც ჩამოვედით, რადგან არ გვსურდა, გამომცემლობა დიდი ლიტერატურული მოვლენის მიღმა დარჩენილიყო. ვიმედოვნებთ,

ფესტივალის ორგანიზატორები სამომავლოდ გაითვალისწინებენ რეგიონალური გამომცემლობების მდგომარეობას და მათ თბილისში მდებარე მსხვილ გამომცემლობებზე უფრო შეღავათიან პირობებს შესთავაზებენ. ვფიქრობ, საშური საქმე იქნება.“

ირინა შავერდაშვილი, „წიგნის სახლი ბახტრიონზე“-ს მენეჯერი: „წლებადელი ფესტივალი ორგანიზების თვალსაზრისით, ვფიქრობ, შარშანდელს ჩამოევარდება. ბაზარი ძალიან არეულია იმ თვალსაზრისით, რომ გარკვეული გამომცემლობების სტენდებზე სხვათა გამოცემულ წიგნებსაც შეხვდებით, თანაც — ფასი ყველგან ერთია. მიმაჩნია, რომ წიგნის ფესტივალზე ყველა გამომცემელს თავისი პროდუქცია უნდა გამოჰქონდეს და ექსკლუზიურ ფასებს სთავაზობდეს მომხმარებელს, როგორც ამას „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, „დიოგენე“, „ინტელექტი“, „სიესტა“, „ქარჩხაძის გამომცემლობა“ აკეთებს. ფესტივალში წელს პირველად ვმონაწილეობთ, წარმოდგენილი ვართ გამომცემლობა „სეზანთან“ ერთად. დიდი ხანია, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. გამომცემლობა თავის წიგნებს განსაკუთრებულ ფასად გვანდის, ჩვენ კი სივრცეს ვუთმობთ ხოლმე „სეზანს“ სხვადასხვა ლიტერატურული ღონისძიების ჩასატარებლად. ეს თანამშრომლობა ფესტივალის ფარგლებშიც გრძელდება. „სეზანი“ გადახალისებული ლიტერატურით, ახალი გამომცემებით წარსდგა მკითხველის წინაშე. მყიდველს ექსკლუზიურ გამოცემებსა და ფასებს ვთავაზობთ. ამაზე უფრო ხელსაყრელი შეთავაზებებით მომხმარებელი სხვაგან ვერ ისარგებლებს. გვაქვს „სანო სტუდიის“ პროდუქციაც — ოთარ ჭილაძის, გალაკტიონის, აკაკისა და ვაჟას პოეზიის საიუბილეო აუდიო-გამომცემები. რამდენიმე აღბოძის პრეზენტაცია „წიგნის სახლში“ გაიმართა, მათი ფასი ფესტივალზეც შენარჩუნებულია“.

მარია წამალაშვილი, „ბიბლუსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი: „თბილისის წიგნის მეთხუთმეტე ფესტივალს „ბიბლუსის“ იუბილე დაემთხვა. ამან ძალიან გაგვახარა. დაარსებიდან 5 წლის განმავლობაში ჩვენი მალაზიათა ქსელი ძალიან გაფართოვდა — საქართველოს ოც ქალაქში ორმოცი ფილიალი გავხსენით. ეს იმის მაჩვენებელია, რომ წიგნი არ კარგავს აქტუალობას და მკითხველი — ლიტერატურისადმი ინტერესს. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ფესტივალის სტუმრებს საშუალება ეძლევათ, „ბიბლუსის“ დაგროვებითი ბარათი უფასოდ მიიღონ და ქსელის ნებისმიერ მალაზიაში წიგნის შეძენისას ბარათზე გაორმაგებული ქულები დაერიცხოთ. ვიმედოვნებთ, მომავალ წიგნის ფესტივალს „ბიბლუსი“ ახალი მალაზიებითა და წიგნის მეტი არჩევანით შეხვდება“.

მომზადდა თამარ ჟურნალმა



ნანა ქელეხიძე

ქარის ორმოსთან

მინდორში დგახარ. შენს კანს მოშუშული ქერის სუნი სდის.
 მზეს იტევ, ყანებს იტევ.
 და სანამ სხვები წიგნებში ეძებენ რაღაც მარადიულს,
 შენ ქარში დგახარ და ყველაზე მეტი ხარ.
 მე ვიხრები ცეცხლისკენ. სახეს მიწვავს მისი ალმური.
 ქერს ვურევ ხის ჯოხით, მზეს ვურევ, ყანებს ვურევ,
 წლებს ვურევ, საცხენე ვინრო ბილიკებს,
 შუბლშეკრულ მთებს, ჩამოშლილ კლდეებს,
 მინდვრის ბალახებს
 და ვიცი, სადაც ხარ.
 და ვიცი, როგორ ხარ,
 როცა მინდორში მარტო დგახარ და როცა ქარია,
 როცა შენს კანს მოშუშული ქერის ფერი აქვს,
 როცა სახესთან შენი სუნი მოაქვს ცეცხლის ალს
 და ტკაცუნით ძველ ამბებს ყვება.
 თუ როგორ დადიოდნენ დაკემილ ხურჯინით,
 როგორ არ ეშინოდათ შემგლისფერების,
 რომ მგლის ჰქონდათ მუხლი,
 რომ დაფქული ქერი ეყარათ ჯვალის ნაჭრებში,
 რომ სალოცავი არ მიიღებდა საკლავის გარეშე,
 რომ ყორეზე დაყრდნობილები ჩამწვარ სანთლებს
 მოჰგავდნენ.
 მერე ბრუნდებოდნენ. დალილები ჩამოჯდებოდნენ
 ეულ კერასთან.
 უხეშ თითებით ჩაახვევდნენ გამომშრალ თუთუნს.
 ცას გახედავდნენ,
 სადღაც, მთის იქით, წეროების გუნდს მიჰქონდა
 ზამთრის ყვირილი.
 ნამოდგებოდნენ სიტყვაძუნები. მუხლისთავებს მძიმე
 ხელით დაიფერთხავდნენ.
 გაეხვეოდნენ სქელ ნაბადში და მიეცემოდნენ
 უსიზმრო ღამეს.
 გამთენიისას, ნისლის ბოლში ბექზე ქვებივით
 იდგნენ ცხენები,
 ერთგულ ძალღვივით თავდახრილები მინას უმზერდნენ.
 არ იყო ნიგნი,სადაც მათზე რამე ეწერა.
 არ იყო ცეცხლი, მათზე დამწველი.
 მაინც ვურევდი მარცვლებს ხის ჯოხით რკინის დაფაზე
 და თოვლისფერ კვამლით გაჟღენთილი ჩემი შავი თმა
 ცხელ ღამეს ჰგავდა.
 და ვშუშავდი ცეცხლზე ოქროსფერ კანს,
 შენს დალილ თვალებს,
 შენს ყველა წასვლას, თუ დაბრუნებას,
 ყველა სიჩუმეს, ყველა ნათქვამს, ყველა მოლოდინს
 და ისე, ისე შენი სუნი ჰქონდა თავთავებს,
 ჩავიმუხლე და ღამის ავტირდი.

ნაპირი

ერთ სიტყვას გადაყოლილები.
 ერთ სისუსტეს გადაყოლილები.
 გარიყეს.
 ქარით.
 ტალღებით.
 რა იოლია,
 თოქზე გამობმულ კონსერვის ქილასავით
 სიცარიელე ნაპირზე უღარუნით დაგქონდეს.
 ზღვა კი ყვაოდეს
 იოდის მათრობელა სუნით,
 როგორც ბავშვობაში შენს ზურგზე
 გაციებისას დახატული უებარი ნამალი.

მომუჭულ ხელისგულებს მხოლოდ სიმლაშე შერჩებათ
 კანში ჩასობილ ფრჩხილებთან.
 თავის მოტყუებაა სხვა ყველაფერი,
 სილაში სანახევროდ ჩაფლული თუნუქის ქილა.


იმარული ასპიჯები

მირაჟები იცის იმერეთის მთებმა, ქიმერები.
 შენ ილიმი.
 გაღმა ცის ნაპირიც წითლად აილანდა.
 ბინდებდა და მზესთან ერთად ჩვენი მზერაც იმალება,
 მე — სტუმარი,
 შენ კი — ჩემი ხელგაშლილი მასპინძელი.
 ნახე, შენს ფერდობებს ჩემი ლევა ფერიც შეერია —
 ჭრელად მოშობული ბებოს გამახსენა ფარდაგები,
 ზედ რომ ბავშვობიდან ჩუმიად გაპარული ფერიები,
 ახლა ზღაპრებს გარეთ ნამდვილ სიმარტოვით თამაშობენ.
 მერე რა, შენამდე თუ კი მოვდიოდი კიდი-კიდე,
 გენში დამყოლია სისხლით გადარჩევა სიავეკარგის,
 ვიცი, მაგ სიყვარულს ყელზე ავგაროზად ჩამომკიდებ,
 მერე — დამივიწყებ,
 მერე — ქარებს იქით გადამკარგავ...
 სანამ დამკარგავდე,
 ნამო,
 ეს ტყეები ამატარე
 და მზით მოხატული შენი იმერული ესკიზები,
 მოდი, სამახსოვროდ ძველი ლექსებივით ამიკინძე,
 ვინრო ბილიკებით ჩემი თუშეთისკენ მერე ნებით

ნავალ...
 ჯერ ღამეა,
 გზაზე აჩრდილები ირევიან,
 კვლავ აგვისტოს ხვათით ჭალა ნარინჯისფრად ირუჯება,
 შენ მილიმი.
 სიტყვებს შეპარვია კილო იმერული:
 „ქიმერები იცის ჩემმა მთებმა, ქალო... მირაჟები...“

ფოთლავი

რამდენი მკვდარი გროვდება დასამარხი.
 არა და, უყურებ — თვალბია:
 შავი. ოდნავ მორუხო.ხავსისფერი...
 ისეთი ფერებია,
 თითქოს დამრეცილ ფერდობს შემოდგომა შემოეპარა.
 იმდენი მკვდარი ფოთოლი გიყურებს მინიდან,
 იმდენი ნაცნობი თვალი გდია მინაზე,
 გეშინია,
 ნაბიჯს თუ გადადგამ — ნაღმებივით გაგისკდება.
 რამდენი დასამარხი გროვდება,
 უნდა გადაითხარო მთელი გული, რომ ჩაიტო.
 არ ჯობია, სულაც, ცეცხლი მიუკიდო
 და გამოტრიადდე?



 ზოგჯერ ასეა, —
 ამონურავ, როგორც ჯვალის მძიმე ნაჭერს,
 წყალში რომ იყო ყინვისას ჩაგდებული.
 იდაყვებამდე ყოფ ხელებს,
 კანის გალურჯებამდე,
 ძვლების შეჭმამდე
 და სადღაც ფსკერზე,
 ძლივს აგნებ საკუთარ თავს,
 ებლაუჭები ათივე თითით.
 ექაჩები ზემოთ შერჩენილი ძალ-ღონით
 და ცდილობ ისე ამონურო, ისე გადაახრჩო,
 წვეთი სინანულიც აღარ შეგრჩეს.

შავი

მე ახლა შენი ერთი სიტყვაც გამაცოცხლებდა.
 მე ახლა — გარეთ თეთრი თოვლი, თეთრი ნაცარი,
 თეთრი მიტკალი, თეთრი ღამე, თეთრი ხელების
 ზევით აწევა მძიმედ, როგორც მთაზე ატანა.

და ეს თითები ახლა — შენი ხმა და სიშორე,
 შენი სიშორე ახლა — ჩემი თმა და ლოდები.
 ვდგავარ და როგორც მოთმინებას — ზამთარს ვიშენებ,
 ქვებით, თოვლით და მოგუდული ყელში გოდებით.

და თეთრი გზებით მოდის ქარი და ტანს მოარხევს,
 მოაფრიალებს ჩამოძონძილ კაბის ნაკეცებს,
 სადმე კუთხეში შეჩერდება, ამოიხრებს,
 რომ დაღლა — ქვები-თოვლი-ქვები-შენი მოკვეცა.

და ეს დუმილი — დაშვებული მძიმედ ხელები,
 და ეს ტუჩები — ცხელ ჩაიში ცაცხვის ფოთლები,
 მე ახლა — გარეთ თეთრი თოვლი, თეთრი ნაცარი.
 მე ახლა შენი ერთი სიტყვა გამაცოცხლებდა.

დაქალი

თითქოსდა კაი დაქალი იყოს,
 მოვა ხოლმე და საწოლის პირას ჩამოჯდება შინაურულად.
 მიყურებს დაჟინებით, როგორ ვწევარ თვალდახუჭული.
 ფეხს ფეხზე გადაიდებს,

ნიკაპს ხელისგულზე ჩამოიყრდნობს და
 ფიქრობს რაღაცას.
 არა და, როგორ მეზიზღები, სიკვდილო,
 არა და, როგორ გგრძნობ,
 როცა ჩემთან ახლოს დადიხარ,
 კმაყოფილ სახით, ნიშნისმოგებით,
 გულისრევამდე ხელშესახები.
 ახლაც ვიცი, თუ ვის ესტუმრე.
 ზუსტად ვიცი, სწორედ ამ წუთას,
 როგორ აფარებ მეზობლის ქალს პირზე გრძელ თითებს.

მონატრება

ეს იყო ომი,
 ჩავსულიყავი კიბეზე და არ მომეხედა.
 ეს იყო ცდუნება,
 ვიცოდე როგორი ხარ,
 როცა მხოლოდ ჩემს მხრებს უყურებ.
 ყველაზე დიდი სახლებიც ინგრევა.
 ყველაზე დიდი ნებისყოფაც.
 ერთხელაც იქნება,
 თოკით დაბმული ხეებიც აინყვეტენ საკუთარ თავს.

სადღაც, ავტობანზე,
 ახლა ყველაზე სწრაფია ღამე.
 როგორ მინდა გიფრთხილდებოდე,
 როცა დალილს გძინავს და შენი მონატრება,
 სიბნელეში ჭრიალა იატაკზე სიარულია —
 გუმანით რომ გრძნობ,
 ფეხი რომელ ფიცარს დაადგა.

შენი ეშო

აღმართი აირბინა ქარმა ოხვრით,
 თითქოსდა ჩუმიად თვლიდა საფეხურებს,
 მზემ შუქი ჩამოშალა, სვეტიცხოვლის
 გუმბათზე მანდილივით დაეხურა.

ბავშვები თამაშობენ ასკინკილას,
 ქალებმაც გაარჩიეს ჭორ-მართალი,
 ვილაცამ ვილაც თბილად გადაკოცნა,
 ვილაცამ ნაცნობს ხელი ჩამოართვა.

ის ქალი სადღაც გაჰყვა მატარებელს,
 ამ კაცმა — მარტოობა შეიფერა,
 (და იქნებ, უღიმღამოდ ატარებენ
 სულ სხვებთან, საღამოებს ფერიულს).

და თითქოს არაფერი, შემოდგომის
 მზემ წითლად შემომანა ალიყური
 და ღამის მოვიდე და უპატრონო
 ძალღვივით სახლის კართან აგიყმუვლდე.

 ვდგავარ ხოლმე სიბნელეში.
 ხელებდაშვებული,
 თვალდახუჭული.
 მხოლოდ საკუთარ ქუთუთოებქვეშ ვარსებობ.
 აყირავებული ტყეებია ჩემს სხეულში.
 ამოძირკვეული ხეები.
 ბნელა და ყელში ამოდიან.
 ტუჩებზე ფესვებს მაფარებენ.
 ნელზე ტოტებს მხვევენ და
 მექაჩებიან.
 ვდგავარ სიბნელეში და ვიხრები.
 და სულ უფრო მეტად მინისკენ.

მწერალი

ირაკლი სამსონაძე

„ჩვენ კი გვევონა დავიძარიოთ, გამოვცდით სადგურს, სადაც საათებს „ვრემი-აზე“ ასწორებდნენ. ჩვენ კი გვევონა მივდიოდით იქ, სადღაც, ადამიანისკენ მივდიოდით, მაგრამ არა, არა, წრეზე ვტრიალებთ, სამსონ. სათამაშო მატარებლის ერთ ლიანდაგზე ვტრიალებთ წრეში. ეს ჩვენი წრეა, ჩვენი ხვედრი. პოსტსაბჭოური უდაბნოს ერთ ლიანდაგზე შემდგარი მატარებელიც ჩვენი ხვედრია. ჩვენ დავიძარიოთ სადგურიდან, ვტრიალებთ წრეზე და დგრილებენ, დანდგარებენ მატარებლის ბორბლები და მოძრაობენ და მიდიან. თანაც მიჰყავთ მატარებელი, რომელიც ჩვენი ხვედრია.“

— ეს არის ნაწვევტი ირაკლი სამსონაძის მესამე რომანიდან — „ღრუბელი, სახელად დარინდა“, რომელიც შარშან გამოქვეყნდა. ამ რომანმა 9 წლის წინ დაწყებული ტრილოგია დაასრულა (შარშან მას ლიტერატურული პრემია „საგურამო“ მიენიჭა). „ყურთბალიში“ (2004), „ლევას საათი“ (2011) და „ღრუბელი, სახელად დარინდა“ (2012) ერთ ციკლად შეიკრა, ციკლად, რომელსაც „ანწყომი გახიროლთა“ ბედი აერთიანებს. სიმბოლური მატარებლის მგზავრები წლებია, წრეზე ტრიალებენ, დახშულ წრეზე, საიდანაც გამოვლავა შეუძლებელია. ერთადერთი, ვისაც მისი გარღვევა შეუძლია, ადამიანია, ამ ყველაფრის გზა და მიზანი. ადამიანი, როგორც მთავარი ფასეულობისკენ მსვლელობა, ირაკლი სამსონაძის ტრილოგიის ერთ-ერთი ძირითადი ხაზია. ავტორსაც ამაზე და სხვა საინტერესო თემებზე ვესაუბრებით.

— ტრილოგიის პირველი წიგნი, „ყურთბალიში“ 9 წლის წინ დაინერა. იმ დროს, ალბათ, არ ფიქრობდით, რომ ყველაფერი ასე განვითარდებოდა.

— თავდაპირველად მსგავსი ჩანაფიქრი მართლაც არ მქონია. „ყურთბალიში“ დამოუკიდებელ ნაწარმოებად დაინერა, თუმცა ერთ დიდ თემას ეხმიანება — „მონობის სახლიდან“ გამოსულთა და უდაბნოში ახეტიალებულთა ისტორიას, რომელიც კარგა ხანია დაიწყო და ჯერ არ დასრულებულა. სადღაც შუანელში ვართ. რადგან თემატიკა ერთი იყო, რაღაც ეტაპზე გადავწყვიტე, რომ ტრილოგიის ფორმას მიიღებდა. ეს „ლევას საათის“ დანერის შემდეგ მოხდა. სწორედ მაშინ მივხვდი, მეორე რომანს მესამეც მოჰყვებოდა, რომელიც ამ ისტორიებს გააერთიანებდა.

— „ყურთბალიშსა“ და „ლევას საათს“ შორის დიდი შუალედი. დაახლოებით 8-წლიანი პაუზა. ერთგან ამბობთ, რომ გაგიჭირდათ ამ ტექსტის გავლენისგან თავის დაღწევა. რით იყო ეს განპირობებული?

— მართლა გამიჭირდა და ეს წერის მანერამ განაპირობა. თუ გახსოვთ, „ყურთბალიში“ სტილი დანერულია, მაქსიმალურად შემჭიდროებული. უფრო ქვეცნობიერი ნაკადი ჭარბობს. ამ სტილმა თავი დიდხანს არ დამანება. როცა ვწერდი, მეგონა, ისევე „ყურთბალიშს“ ვიმეორებდი, ამბავს იგივენაირად ვყვებოდი, ამიტომ კარგა ხანს არაფერი გამომიქვეყნებია. როცა მივხვდი, რომ გავლენას თავი დავაღწიე, მხოლოდ შემდეგ დავწერე ეს ორი რომანი.

— პირველ წიგნში „ყოფილების საზოგადოებაზე“ წერდით, ბუნუნებთან ტომარაში გამოკრულ ტვირთზე, რომელსაც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს ადამიანები საკუთარი ზურგით ატარებდნენ. მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა. ეს ტვირთი ისევ ისეთი მძიმეა?

— რა თქმა უნდა, მძიმეა და ეს ყველა თაობამ იგრძნო — ჩემმაც, უფრო ხნიერებმაც და ახალგაზრდებმაც. საერთო ისაა, რომ მისგან თავი ვერ დავგიღწევი. ჩვენში რაღაც ცვლილებები ხდება, მაგრამ თავისუფლება ისე მარტივად მისაღწევი არ აღმოჩნდა, როგორც მისი მოპოვების დროს გვევონა. შემთხვევითი არ არის, რომ მოსემ ებრაელი ხალხი უდაბნოში 40 წელიწადს ატარა. ჩვენც ამ გზაზე ვართ და გავდივართ პროცესს, რომელსაც ჯერ დასასრული არ უჩანს. ეს ჩვენი შინა-

განი გათავისუფლების გზაა და ტვირთის სიმძიმესაც ის განაპირობებს. თავისთავად, რაღაცისკენ მსვლელობა, მოძრაობა უკვე კარგია. საბჭოთა კავშირში სტაგნაციაში ვიყავით, მონურ ყოფაში, მაგრამ რადგან დავიძარიოთ და გეზი ავიღეთ, ამ სიმძიმე-



საც გავუძლებთ. მთავარია, არსებობს მიზანი და იმედი, რომ ჩვენ თუ არა, სანადელს სხვები მაინც მიადგენ.

— ანუ, ნამდვილი თავისუფლებისკენ მიმავალი გზა თაობებზე გადის, როგორც მოსესა და ებრაელი ხალხის შემთხვევაში?

— რასაკვირველია, ისტორია ხომ მეორდება.

— „ყურთბალიში“ დაწერიდან 8 წლის შემდეგ მკითხველს სრულიად განსხვავებული რომანი შესთავაზეთ სახელწოდებით — „ლევას საათი“. რამ მოვცათ სტიმული ხანგრძლივი პაუზის შესაწყვეტად?

— გულწრფელი ვიქნები და გეტყვით, რომ ამხელა შუალედი ნებისმიერ მწერალს კრიზისზე აფიქრებს. ავტორი წვალობს, როდესაც ახლის შექმნას ცდილობს და არ გამოსდის, ამიტომ თავს ძალა დავატანე, ეს რომანი დამეწერა. ერთგვარი ინტრიგაც კი მოვიწყვე. იცით, როგორ იწერებოდა „ლევას საათი“? ვწერდი ისე, რომ გაგრძელება არ ვიცოდი. ინტუიციით ვგრძნობდი, საით უნდა წავსულიყავი. ვწერდი და თან ჟურნალ-გაზეთებში ვბეჭდავდი. ამით თავი ვაიძულე, საქმე ბოლომდე მიმეყვანა — შუა გზაზე გაჩერება ჩემი


სირცხვილი იყო. პროცესი ნახევარ წელიწადს გაგრძელდა. ასე შექმნა ეს რომანი — წვალებით, მაგრამ ერთი ამოსუნთქვით.

— მწერლისთვის საინტერესოა პროცესი, როდესაც არ იცი, როგორ განვითარდება მოვლენები, საით წაგიყვანს ამბავი?

— საინტერესოა, მაგრამ ხიფათის მომცველიც. შეიძლება გაჩერდე და ვეღარ გააგრძელო. ამ შემთხვევაში იძულების მექანიზმმა იმოქმედა და თავი გავართვი, მაგრამ შესაძლოა, მცდელობა არ გამომსვლოდა. ერთი პირობა ვფიქრობდი, მესამე რომანზეც იმავე რეჟიმში მემუშავა, მაგრამ საბოლოოდ, დავასრულე და მეორე დავბეჭდე. „ღრუბელი, სახელად დარინდა“ უფრო განსხვავებულად დაინერა. ბევრი რამ წინასწარ ვიცოდი, თუმცა ყველაფერი არა, რადგან ამ შემთხვევაში აღარ დამინტერესებდა. ყოველთვის არის რაღაც, რისი გაგებაც გინდა და სწორედ ეს განვინებებს.

— „ლევას საათის“ პირველ თავს „მწყერი“ ჰქვია. ამბავი ამ ფრინველით იწყება და მისითვე მთავრდება. მომეჩვენა, რომ მნიშვნელოვანი სიმბოლოა.

— ბიბლიური სიმბოლოა. თუ გახსოვთ, უდაბნოდან გამოსვლის დროს ებრაელი



ხალხი ხორცს მოითხოვს და მწყერების გუნდი გადაუფრენს. ბიბლიური სიმბოლოა პურიც — როდესაც პურს ითხოვენ და ციური მანანა დააწვიმთ. რომანის ერთ-ერთი თავის სახელწოდება — „მცხეთური პურიც“ — ბიბლიური ალუზიაა. მინდოდა, ხაზი გამესვა იმისთვის, რა პურს ვჭამთ. პრაქტიკულად, ეს ჩვენი მონობის პურია. მესამე თავი — „მსუქანი მეძავი“ — ამ გარემოებათა შედეგია და კრავს კიდევ მათ.

— რამდენადაც ვიცი, კიდევ ორი თავი არსებობდა.

— თავდაპირველად მინდოდა, 5 თავი ყოფილიყო, მაგრამ მეორე მივხვდი, ძალიან დიდი გამოვიდოდა და ის ორი თავი მომდევნო რომანში გადავიტანე. თანამედროვე მკითხველი ცოტა განებივრებული მკითხველია, დიდტანიან ნაწარმოებებს ერიდება. დროც აჩქარდა. ყველა მწერლის მიზანია, მისი წიგნი წაიკითხონ, ამიტომ ძალზე სქელტანიანი ნაწარმოებით ადამიანების „შეშინებას“ მოვერიდე.

— მთლად ვერ დაგეთანხმებით. რამდენადაც ვიცი, უცხოურ გამომცემლობებში ყველაზე დიდი მოთხოვნა რომანებზეა.

— კი, მაგრამ თანამედროვე რომანი არ

არის ძალიან ვრცელი. „ლევას საათი“ ისედაც სქელტანიანი წიგნია. „ღრუბელი, სახელად დარინდა“ უფრო თანამედროვე რომანის სტილშია დაწერილი.

— ამ თვალსაზრისით ის მეტად ეხმიანება „ყურთბალიშს“. „ლევას საათი“ სულ სხვა ტიპის ტექსტია, ერთგვარი თანამედროვე საგა, სადაც მოქმედება სამ ეპოქაში ვითარდება. მათ ერთი გვარის სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი კრავს. საიდან წამოვიდა ბაგარების ისტორია? ისიც საინტერესოა, რატომ აირჩიეთ მთავარ პერსონაჟად, უფრო სწორად, პერსონაჟებად უცხო ტომის წარმომადგენლები?

— გვარს რაც შეეხება, გამოგონილია. ალბათ უნგრეთში ასეთი გვარი არ არსებობს. უცხოელის შემოყვანა კი ერთ-ერთმა მთავარმა თემამ განაპირობა (და არა იმან, რომ უცხოელები არ მიყვარს). რომანის წამყვანი ხაზია ის, თუ როგორ ცდილობენ სისტემის კაცები თავის დამკვიდრებას. თუმცა მეორე თაობაში ბაგარები უკვე ჩვეულებრივი ქართველები არიან. სხვათა შორის, ეს გვარი ჩემს ერთ პიესაში ფიგურირებს, ამიტომ პირდაპირ გადმოვიტანე, ზედმეტი ტვინის ჭყლეტა არ დამიწყია.

— ენაზე მინდა გკითხოთ. რომანის მეორე და მესამე ნაწილებისგან განსხვავებით, სადაც თანამედროვე ენით წერთ, პირველ ნაწილში თხრობა არქაულ სტილში მიმდინარეობს.

— არქაული ჩანარები სიძველისთვის დამჭირდა, იმ საუკუნის ატმოსფეროს შესაქმნელად. თანდათანობით ენობრივი ქსოვილი თანამედროვეში გადადის და მომდევნო თავში, სადაც უკვე სერგო ორჯონიკიძის ეპოქაზე ვლაპარაკობ, არქაული მეტყველება „ამხანაგოთი“ იცვლება. ჩემი მიზანი იყო, მეჩვენებინა ეპოქათა ცვლილება ენის განვითარების ფონზე, რათა ეს ყველაფერი უფრო ხელშეასხები ყოფილიყო. პირადად ჩემთვის ამაში ცოტა ირონიაც იმალება.

— რთულია ამ სტილით წერა?

— რთული არა, უფრო მეტად, საინტერესო. თანაც, ეს ხომ არ ვრცელდება მთელ ნაწარმოებზე, მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთებს მოიცავს. დაახლოებით იგივეა, მხატვარი რომ ტილოს აძველებს და მწერლობა ხომ სიტყვით ხატავა.

— თანამედროვე ავტორები მკითხველის მისაზიდად ენას ამარტივებენ. ამ თვალსაზრისით საქმე ხომ არ გაირთულია?



— არა მგონია. მთავარია, თავად ავტორისთვის იყოს საინტერესო და სწორ მიზანს ემსახურებოდეს. როგორც უკვე აგიხსენით, თავიდან არ ვიცოდი, რომ ასე დაინერებოდა, მაგრამ გაჩნდა მოტივი და დავინტერესდი, აქედან გამომდინარე, სხვების დაინტერესებაც შეეძლება. ეს პროცესი ჩემთვის შემოქმედებითი თვალსაზრისით აღმოჩნდა მიმზიდველი. ხომ არიან მათემატიკოსები, რომელთაც რთული ამოცანის ამოხსნა სიამოვნებთ. მეც იგივე განცდა მქონდა. შეიძლება არქაულობისკენ სვლა „ყურთბალიშმაც“ განაპირობა, რადგან ქვეცნობიერად ისე წერა აღარ მინდოდა.

— წიგნი მიტინგის სცენით მთავრდება, სადაც მომიტინგეები „ანწყომი გახიროლთა ხეტიალს“ უკრავენ ტაშს. ვინ არიან ანწყომი გახიროლთა ადამიანები?

— პრინციპში, ეს არის ძირითადი თემა, რაც სამივე რომანს აერთიანებს. ჩემი ფორმულირებით, ეს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობაა. უფრო სწორად, ამის განცდა. სინამდვილეში ასე არ არის: რადგან ერთ ადგილას არ ვდგავართ, ოპტიმიზმის საფუძველიც გვაქვს. უბრალოდ, ამხელა ტვირთი უპერსპექტივობის შეგრძნებას ბადებს, რაც ნიშნავს, რომ ანწყომი გახიროლნი ვხეტილობთ. ამასვე ეხმაურება მომდევნო რომანში წრეზე მბრუნავი მატარებლის თემა.

— და ყველაზე მთავარი — რა სიმბოლოა „ლევას საათი“, რისი თქმა გინდათ?

— სხვათა შორის, ამის განმარტებას „ღრუბელი, სახელად დარინდა“-ში შევეცადე — ეს არის სისტემის კაცებისგან გაბახებული დრო. მთავარი პერსონაჟები — ბაგარების სხვადასხვა თაობა და განშტოება, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი



ირაკლი სამსონაძე:

„მინდოდა, დრო

დამეტყველებინა“

დასასრული

ადამიანები არიან, თუმცა ბედისწერით თუ რაღაც ხვედრით, ყველა დროში სისტემის კაცებად გვევლინებიან და სხვათა ბედს მართავენ. როგორ ბახდებოდა დრო ამ კაცებისგან – ამის სიმბოლოა ლეას საათი.

— რომანში ძალიან ბევრი პერსონაჟია, მთელი პალიტრა, რომლებიც, იმის მიუხედავად, პატარა ეპიზოდში ჩანან თუ ხანგრძლივი დროით, მკითხველს კარგად ამახსოვრდება. ამაში თქვენი დრამატურული გამოცდილება დაგეხმარება?

— რასაკვირველია. სხვათა შორის, იგივე აღნიშნა ჩემმა უფროსმა მეგობარმა, მირიან შველიძემ, რომელიც თეატრის მხატვარია. „ლეას საათი“ პირველად რომ წაიკითხა, როგორ დაგეხმარა დრამატურგიაო — მითხრა.

— რამდენად საინტერესო იყო თქვენთვის ამ ტიპის რომანზე მუშაობა?

— საინტერესო რომ არ ყოფილიყო, არც დაინერებოდა. საინტერესოც იყო, ჩამთრევიც და რაღაცის მომცემიც. წერის დროს ავტორმა ბევრი რამ არ იცის. აღმოჩენები მერე ხდება და მათგან მოდის სიხარული. შემოქმედება მუდმივი წვალეობაა, მაგრამ პატარა სიხარულებიც ხომ ახლავს! რაღაცის აღმოჩენა — სწორედ ეს არის მწერლის სიხარული.

— მესამე რომანი პოეტური სახელწოდებით — „ღრუბელი, სახელად დარინდა“ — გასულ წელს დაინერა, ანუ „ლეას საათს“ დიდი დრო არ ამორებს. „მეორე სუნთქვა“ გაგეხსნათ?

— არა, უბრალოდ ვიცოდი, რა მინდოდა. გამოიკვეთა, რომ ტრილოგიის წერას ვაპირებ. მზად მქონდა ორი თავი, რომელიც „ლეას საათში“ არ შევიტანე, რაღაცები ძველი, შენახული ნამუშევრებიდანაც გამოიყენე და რომანიც შეიკრა. იქ არის აფხაზეთიდან წამოსვლის სცენა, რომელიც ადრე დავეწერე, მაგრამ თავი და ბოლო არ ჰქონდა და არ ვებეჭადე. სხვათა შორის, მწერლისთვის პორტფელი ბევრს ნიშნავს. არის რაღაცები, რაც დაწერის მომენტში დასაბუქდად არ გეჩვენება და შემდეგ თავად გახსენებს თავს. ზუსტად ხედავ, სად ჩაჯდება.

— რომანში ერთ-ერთი „მოქმედი პირი“ ფორმია. თხრობა სამ პირში მიმდინარეობს: მე, შენ და ის სამსონა. რატომ აირჩიეთ ასეთი გზა?

— სხვათა შორის, როგორც „ლეას საათში“ დავისახე კონკრეტული ამოცანა, აქაც სამ პირში თხრობამ დადინტერესა — როგორ შეძლება მოყვე ერთ კაცზე სამ პირში. მეჩვენება, რომ ასეთი მანერა ამთლიანებს რომანს, კრავს და სათქმელი უფრო საინტერესოდ მოაქვს. პერსონაჟს მრავალი კუთხით გიჩვენებს, დაახლოებით ისე, კამერა რომ ტრიალებს და სხვადასხვა პლანიდან იღებს მსახიობს. მიუხედავად იმისა, რომ 12 სხვადასხვა ამბავია, რეალურად ეს ერთი ადამიანის ისტორიაა, რომელიც ჯერ კიდევ „ყურთბალიშიდან“ იწყება. ვახოს პერსონაჟი, რომელიც პირველი რომანის მთავარი გმირია, პირდაპირ გადმოვიტანე, სახელიც არ შემიცვლია. აქ მისი ამბავიც არის მოთხრობილი, უბრალოდ, ახალი ფორმა და შინაარსი მივეცი. რომანში ზღაპარიც შემოვიდა, ცოტა მითიც, მაგრამ ძირითადი მინიცი მთავარი გმირის ისტორიაა.

— და კიდევ ერთი საინტერესო სიმბოლო — წრეზე მოსიარულე მატარებელი, რომელიც ჩაკეტილი სივრციდან ვერ გადის.

— მართლა ასეთი შეგრძნება მაქვს, რომ წრეზე ვტრიალებთ და სამწუხაროდ, ვერ გამოვდივართ. იქიდან გამოსალსნევი გზა თავად ჩვენზე გადის, გათავისუფლ-

ბაში იმისგან, რაც „ვრემიას“ დროიდან გამოგვყვა. მარტივად რომ ვთქვა, გზაც და მიზანიც ადამიანია. ჩვენ ისეთი თვისებები დავკარგეთ თუ დავგავინყდა, რაც ადამიანისკენ სვლაში გვეხმარება და ახლა ვინც მსვლელობას აქეთ — ნაღდი, ჩამოყალიბებული ადამიანისკენ. ეს რთული, მაგრამ ღირსეული გზაა.

— რით შეუძლია მწერალს ამ რთულ გზაზე დახმარება?

— თუ რამით შეუძლია, იმედია. ჩემი სამივე რომანი, მძიმე ფონის მიუხედავად, იმედით არის სავსე და ადამიანურობისკენ მოუწოდებს. აქედან გამომდინარე, იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან ეს მძიმე პერიოდი დამთავრდება და უკეთეს ქვეყანაში ვიცხოვრებთ.

— ხშირად მწერალს ფურცელზე თავისი ცხოვრება გადააქვს. რამდენად ჩანხართ საკუთარ ტექსტებში, მით უმეტეს, რომ ბოლო რომანში მთავარი პერსონაჟი სამსონაა?


— რა გითხრათ. საერთოდ, მწერლები კაი მაგარი ბარონი მიუნჰაუზენები არიან. როცა გგონია, რომ ძალიან გულწრფელია, შეიძლება სწორედ მაშინ გატყუდებ. ხუმრობა იქით იყოს და ვფიქრობ, ჩემს რომანებში ჩანს ირაკლი სამსონაძე. რომელ „მე“-ში — პირველში, მეორესა თუ მესამეში, ამის გამოცნობა მკითხველისთვის მიმინდვია. თუმცა საქმე მარტო ირაკლი სამსონაძეს არ ეხება. ამ რომანების მიზანი საკუთარ თავზე თხრობა არ ყოფილა. მინდოდა, რაღაცით ჩემი დრო დამეტყველებინა, იმ დროზე მომეთხრო, რომელშიც ცხოვრების ბედნიერება მომენიჭა, მაგრამ მძიმე აღმოჩნდა ჩემთვის და ჩემი თაობისთვისაც. საბედნიეროდ, დღეს ცოცხლები ვართ და ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

— „მწერლის სახელი ჯერ კიდევ ბოგინობს“ — წერს ბოლო რომანში. მართლა ასე ფიქრობთ?

— ეს კიდევ ცალკე თემაა. მწერლისადმი საბჭოური მიდგომა მარაზმი იყო, მაგრამ არც ის არის კარგი, რაც დღეს ხდება. სრულიად მოშლილია სისტემა, რითაც შეიძლება ჩვენნაირი ქვეყანაში მწერალმა იარსებოს — გულსხმობა ნიგნის მწირ ბაზარს და მკითხველის რაოდენობას. ამ გლობალისტურ სამყაროში ქართულად რომ ვწერთ, უკვე დიდი ამბავია, რადგან ენა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ენა მწერლობის გარეშე კვდება.

რითი უნდა იცხოვროს მწერალმა? ჰონორარი პრაქტიკულად არ არსებობს. არც ნიგნები იყიდება იმ რაოდენობით, რომ გამოცემელმაც იხიროს და ავტორმაც. არ უნდა იყოს საქართველოში რამდენიმე ლიტერატურული ჟურნალი და გაზეთი, რომელიც ნორმალურ ჰონორარს გასცემს? ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ საერთოდ აღარ ვართ საჭირო. არადა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ საჭირონი ვართ და, უპირველესად, მკითხველს ვგულსხმობ. რაღაც სისტემა მოსაფიქრებელი, თორემ პროცესი მიშვეებულია და როგორც ამ დროს ხდება, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან. უზღვავი პროდუქცია მოდის, რომელიც მკითხველის გემოვნებას ანადგურებს. ასეთებს აპირებენ და მწერლები ჰქვიათ, თუმცა ელემენტარული მართლწერა არ იციან. ჩემთვის მწერლობა სხვა რამეა. მწერალი ფურცელზე უნდა წერდეს, ტელემწერლობა არ გამოიგია. ესეც იმ უსისტემობის შედეგია, რაც წლებია არსებობს ქართულ კულტურაში და რისი უფლებაც არ გვაქვს.

ესაუბრა ნანა კობახიძე



დალი ფანჯიკიძე:

„მგონი, დასვენება დაპიმსახურე“

დასასრული

თავზე კი დიდხანს ვიმუშავე, ბევრი ადგილი ჩავასწორე და მომიწია ახლიდან გადამენერა. შემდეგ ძველი ვარიანტი დავხიე და ერთიანი ტექსტი მებეჭდავს გაუგზავნე. რამდენიმე დღეში დამირეკა, გვერდები აკლიაო. აღმოჩნდა, რომ ის გადაწერილი თავი მის პირველ ვარიანტთან ერთად დამეხია. მაგრამ ტექსტი იმდენად დამუშავებული და შესწავლილი მქონდა, რომ, თუ დამიჯერებთ, ნიგნში აღარ ჩამიხედავს, მთელი თარგმანი ზეპირად აღვიდგინე. სწორედ მაშინ განვიცადე ის, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით, თითქოს მწერალი მკარნახობდა, ის მანერინებდა, მე კი მექანიკურად გადამქონდა ფურცელზე მისი სიტყვები. რაღაც ტრანსის მაგვარი განცდა იყო.

— თქვენი, როგორც მთარგმნელის ერთ-ერთი წარმატებული ნამუშევარია მაქს ფრიშის „Homo Faber“.

— თავიდან, როგორც მკითხველი, ამ რომანის რუსულენოვან თარგმანს გავეცანი, ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე, მეთარგმნა. იმ წლებში ორიგინალის მოპოვება ძალიან რთული იყო. დედანს არაჩვეულებრივ მეცნიერთან, ბუბა ყარაღაშვილთან მივაკვლიე და ვთხოვე, სათარგმნელად მჭირდება-მეთქი. ბუბამ, ნიგნს იმ შემთხვევაში გათხოვებ, თუკი არ შეილახებაო. არადა, შეუძლებელი შეეცქოს. ნიგნი აღარ გამოვართვი. იმხანად საბჭოთა კავშირის საგარეო ურთიერთობებში გარკვეული დათბობა შეინიშნებოდა, მეც ვისარგებლე ამით. ნოდარ კაკაბაძეს, რომელსაც კავშირები ჰქონდა გერმანელ ავტორებთან, სალიტერატურო წრეებთან, ფრიშის მისამართი ვთხოვე და წერილი გაუგზავნე, თქვენი „Homo Faber“ მსურს, ვთარგმნო და დედანი არ მაქვს-მეთქი. გამომიგზავნა „Homo Faber“, „ვიქნები თუნდაც განტენზიანი“ და მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი კრიტიკული ლიტერატურა. შემდგომში ამ უკანასკნელით ისარგებლა თითქმის ყველამ, ვინც მაქს ფრიშის ტექსტებს იკვდიდა. ასე „მოვიდა“ ჩემამდე მაქს ფრიში.

„Homo Faber“-ისა და „ვიქნები თუნდაც განტენზიანი“ სახით გერმანულენოვანი ლიტერატურის უახლეს, საუკეთესო ნიმუშებზე ვიმუშავე. ეს მაღალმხატვრული, ღრმა ლიტერატურაა, განსაკუთრებით — „განტენზიანი“. თომას მანისგან განსხვავებით, მაქს ფრიშს ძალზე რიტმული თხრობა აქვს, მოკვეცილი, სხარტი წინადადებები ახასიათებს. შესაბამისად, თარგმანიც იდენტური უნდა ყოფილიყო, სტილის ფაქტიზი შეგრძნებით, გემოვნებით შესრულებული.

— მთარგმნელის ოსტატობაზე როცა ვსაუბრობთ, შეუძლებელია, არ ვახსენოთ თქვენ მიერ გადმოქართულებული „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი“. ულრიხ პლენცდორფის ეს პანანინა ნიგნი რთული ჩანს სათარგმნელად.

— ამ ნიგნის თარგმნას ჩემს გამარჯვებულ მივიჩნევ. ნაწარმოები ახალგაზრდული ჟარგონით არის დაწერილი. სიძველე იყო ის, რომ ჟარგონის გადმოქართულებისას ზომიერება შეგენარჩუნებინა, სწორად შეგესიტყვებინა და შეგეჩრია ის გამოთქმები, რომელიც ყველა თაობის მკითხველისთვის გასაგები იქნებოდა. თავად ავტორი ძალზე ოსტატურად ახერხებს ამას. ნაწარმოები გასული საუკუნის 70-იან წლებში დაინერა, არადა დღესაც რომ წაიკითხო, უცნობი ჟარგონი არსად შეგხვდება.

სამართლიანობა მოითხოვს და აქვე ვიტყვი, რომ საბჭოთა წლებში თარგმანის განვითარებისთვის ყველა პირობა იყო შექმნილი. თუ მხატვრული თვალსაზრისით რაიმე ღირებულს თარგმნიდი, აუცილებლად გამოგიკვეყნებდნენ. ითარგმნებოდა სწორედ საუკეთესო ლიტერატურული ნიმუშები და არა იმგვარი „მაკულატურა“, დღეს ნიგნის მალაზიებში რომ უხვადაა წარმოდგენილი.

— მოგვიანებით პოეზიაშიც მოსინჯეთ ძალეში. ავსტრიული პოეზიის ნიმუშები თარგმნეთ.

— თარგმანები „XX საუკუნის ავსტრიული ლირიკის“ მრავალტომეულში შევიდა. საგამომცემლო პროექტის ავტორი დავით ბარბაქაძე გახლავთ.

— „უბრალო“ არაფერი მითარგმნიაო, მითხარით. სამომავლოდ რის შეთავაზებას აპირებთ ქართულენოვანი მკითხველისთვის?

— მრავალწლიანი მთარგმნელობითი საქმიანობის შემდეგ, მგონი, დასვენება დავიმსახურე. ახალგაზრდა აღარ ვარ, რაიმე დიდტანიან, სერიოზულ ტექსტს რომ შევეჭიდო. თანაც, კომპიუტერი ვერ ავითვისე. ხელით წერა კი ულევ ენერგიას მოითხოვს. მართალი გითხრათ, რომელიმე ნაწარმოების თარგმნა აუხდენელ ოცნებად არ დამრჩენია. სხვათა შორის, მაქს ფრიშმა მაშინ მომწერა, თუკი ჩემსას რაიმეს კიდევ თარგმნი, უმჯობესია „შტილერი“ იყოსო. გამომიგზავნა კიდევ რომანი, მაგრამ ისე გარდაიცვალა, თხოვნა ვერ შევუსრულე. დიდტანიანი ნიგნია და, რაღაცნაირად, გამისხლტა ხელიდან. ახლა „შტილერზე“ მუშაობისთვის ფიზიკური ძალები აღარ მეყოფა.

ესაუბრა თამარ ჟურული

ნანა ეხვია

სინანული – სივრცის დამტევი სიტყვა. სიტყვა, ქმნილი ზეცისაგან, ზეცისათვის, მიწიერი და დასჯილი ადამის მოდგმისათვის, რომელსაც, თუკი მოინდომებს, ამ უძვირფასესი სიტყვის ნიაღში შეუძლია თავის გამოსყიდვა.

სინანული – ბურჯი სიცოცხლის, იმ სიცოცხლის, რომელიც ზეცაში ელოდება მინაზე დანარცხებულს, თუკი მოისურვა ამ უსასრულო განძის დაპატრონება.

სინანული – მღვრიე ტალღებიდან ნათლის სვეტად სულის აღმართვა, განღმრთობა თიხის და ყოველგვარი თიხისეული სიმყიფის ფოლადის სიმტკიცედ „გარდაცვალება“.

სინანული – ცვალებადი და მერყევი ქარის, ვნებათა ღელვის ქაოსის მოწესრიგება, წესის და რიგის ზეციურ ნიშთან მსხვერპლის მიტანა და სწული ყოფის განკურნება.

სინანული – უწმინდეს ძღვენთან იმგვარი დიდებული დაჟინებით მიახლოება, როგორითაც სიკვდილმისჯილი ისწრაფვიან შეწყალების მოსასმენად.

სინანული – ანმყოში დაჯილდოებული წარსული, და ჯილდო იგი — მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა.

ავტობიოგრაფია

ბებიის ნაქონ შალს მოვიხურავ – ამაგს წინაპართას თითქოს გადავიხდი; სათაყვანო დედის უთბილეს ამბორს ცრემლით ვინატრებ ღმერთს მინდობილი; მამის მრისხანე თვალებს გავიხსენებ და ვუთანაგრძნობ სიბერისას დაუძლურებულს, ხოლო საბოლოო სამსჯავროს შიშით სიკვდილი სამუდამოდ შემარიგებს მასთან (მას კი – ჩემთან და სამყაროსთან და სინანულით დამშვიდებული დატოვებს მინას); და-ძმის უზადო წესიერებას უპოვარივით შევებნიზებ; უსაყვარლესი ძმისშვილების გულუბრყვილობას ფრთხილად მოვირგებ; რძლის სანაქებო თანაგრძნობას და ერთგულებას მაღლიერებით მოვეფერები; შევურიგდები და შენდობას გამოვთხოვ ყველას, ვინც კი ოდესმე მტკივნეულად მომკარებია მშფოთვარე სულზე და მეც სიმწარე მიფრქვავს ვისთვისაც; ასე, სინანულით ძალმოცემული, შვებით ავხედავ ზეცის სიშორეს და საბოლოოდ გავღვიძებული მორჩილების კევრს ლოცვით გავუწვები.

ცოფიანი ძაღლებივით მკბინეს დაღმართების ალღუმებმა, სიმწარეთა ხინკებმა, გზებს მირევადა მათი მტრობა — მე მიხვედრა მიჭირდა,

მაგრამ შენი თბილი მზერა უხილავად მდარაჯობდა, მიცავდა და მელოდა, რათა შენი ნატერფლიდან წყალი მესვა შვებისა.

ყველანაირი თავშესაფარი, ადრე რომ მსურდა შევფარებოდი, უკვე ისეთი უსუსური ჩანს, შენს დიდ ნათელთან შედარებით, რომ მისი შუქით გაკვირვებული სამყაროს ვუმზერ დამშვიდებული.

ბოლო ჟამის არხენი მოქალაქენი — მაღლის უმადური ჭურჭელნი — ისე ქარაფმუტულად ვხარჯავთ დროს, თითქოს სამუდამოდ მინაზე გვეკონდეს საბოლოო ნავთსაყუდელი.

შენ გვიფრთხილდები სათითაოდ და გვაგრძობინებ, რომ არ მეორდება არცერთი სული და თითოეული გაგვაჩინე ჩვენთვის შექმნილი მელოდიის ვით ერთადერთი შემსრულებელი.

გოჩა ხარანაული

უპარაპო ლაქსი

რომ დააბიჯებ, ის ადგილიც ჩემი ღვიძლია, როგორც შეგფერის, რომ შეგამკო, არ შემიძლია, ხარ უჩინარი ჩემი სასო, ჩემი იმედი. ჩემი ფიქრების ნიაღვრებიც შენსკენ იძვრიან! ხარ უჩინარი ჩემი სასო, ჩემი იმედი, ღამის წყვდიადში ნათელივით ამომიხვედი, ჩემი სიკვდილის მიზეზიც ხარ, ჩემი სიცოცხლის, შენ აღმიდგინე არსებობის თესლი მცირედი! ჩემი სიკვდილის მიზეზიც ხარ, ჩემი სიცოცხლის, ახლოს მეგონე, შორს მეგობრის არა ვიციდი, როგორ მიყვარხარ! შენ კი გული რამ გაგიცია, მე კი მეგონა, შენს უბეში რომ დავინვოდი! როგორ მიყვარხარ!!! შენ კი გული რამ გაგიცია! რად დამივიწყე გარდაქმნილი ერთგულ ფიცილად, ისე იქცევი, თითქოს გული ამოგაჩეხეს, თითქოს ბრმა ხარ და არც გესმის და არა იცი რა! ისე იქცევი, თითქოს გული ამოგაჩეხეს, მე ამიკრძალეს შენი თავი — აღარ მაჩვენეს, შენ ჩემს გარეშე აგირიეს ავად დავთრები, მე კი უშენო, უფსკრულის წინ არ შემაჩერეს! შენ ჩემს გარეშე აგირიეს ავად დავთრები, მე კი ამაყ მხრებს მიძიდინა მყრალი აფთრები, შენ ჯოჯოხეთის ჯალათების მსხვერპლად იქეცი, ვშიშობ გიხილო ღრუბლებიდან გამონათებით! შენ ჯოჯოხეთის ჯალათების მსხვერპლად იქეცი. შენი ტყვეობით დავიშალე და დავიქეცი, ჩემს ნანგრევებზე უვარდებო ხარობს ეკალი, სიცოცხლეშივე სასაფლაოდ გადავიქეცი! ჩემს ნანგრევებზე უვარდებო ხარობს ეკალი, ნეტა ყაჩაღებს შავ არაგზე მე მოვეკალი, სიკვდილის კატამ, როგორც თავი, გამომიჭირა, რადგან წყლულივით ზედ ჯიგარზე გამომეკარი! სიკვდილის კატამ, როგორც თავი, გამომიჭირა, მე მაინც შენი სიყვარულის დროშა მიჭირავს, მე იმ ჯიშის ვარ, თავად რომ ჭამს თავის არსებას, და უჩინარი თვითმკვლელობის დიდი ნიჭი აქვს! მე იმ ჯიშის ვარ, თავად რომ ჭამს თავის არსებას, ვინც დაიღვარა მზის გულზე და მაინც არ შრება, ჩემი ქუსლია აქილევის, რაც შენ გეხება, რადგან შევიცან ჩვენი ბედის ცხადი მსგავსება! ჩემი ქუსლია აქილევის, რაც შენ გეხება, სისხლის ცრემლებით უპეები ჩამომეხევა, ძვირფას ავადმყოფს ეს რა თარსი შეგხვდი ექიმი, მაგ ჭრილობების არ მცოდნია კარგად შეხვევა! ძვირფას ავადმყოფს ეს რა თარსი შეგხვდი ექიმი, ვერ დაგიკოცნე ნამწამები ამოპრეხილი, უნდა მომეცა ჩემი სული შენს მოსარჩენად, დამატყდებოდი ვიდრე ბედკრულს თავზე მეხივით! უნდა მომეცა ჩემი სული შენს მოსარჩენად, რადგან შენდამი სიყვარული ჩემი არ გჯერა, საჭირო იყო ალბათ, თუმცა რა ოსტატი ვარ შენი გულისთვის მოეკვეთათ ჩემთვის მარჯვენა! საჭირო იყო ალბათ, თუმცა რა ოსტატი ვარ, ჯიშით მებრძოლი უქმად შევრჩი ძვირფას სატირალს, დიაცთ ეტირათ, ნაცნვდომოდი მე კი იარაღს, მამული როდის შერჩენია ქართველს მარტივად!

დიაცთ ეტირათ, ნაცნვდომოდი მე კი იარაღს, სახლის კარები დამრჩენია ნეტა ღია რად, მიგდებულ საყდარს ვიცი ვინაც ეპატრონება, რომ კარგი შვილი არ გაიხდის დედას ზიარად!!! მიგდებულ საყდარს ვიცი ვინაც ეპატრონება, რწმენის გარეშე რომ არ არის კაცის ცხოვნება! უფალს დავმორდი და წინაპრის ვთელე სავანე, და ის ვაკეთე, რაც უფალს არ მოეწონება! უფალს დავმორდი და წინაპრის ვთელე სავანე, სისხლით დამბალი შენი მინა გავამაგანე, მოწყენილი ვარ და მოგონილ ომით ვერთობი, წარსულს შემოვწყერ, მომავალი დავისამარე! მოწყენილი ვარ და მოგონილ ომით ვერთობი, დანაცრებული უშენობით და უღმერთობით, რომ დააბიჯე — ის ადგილიც ჩემი ღვიძლია, ის ნაფეხურიც რადგან მავსებს შენთან ერთობით!!! არაფერია მზისქვეშეთში მამულზე ტკბილი!!! მამულზე მწარე, გასაოცი და გასაკვირი!!!

საამურია მამულისთვის თავის დადება, ვიდრე სიცოცხლით შელახული გული და ტვინი!!! საამურია მამულისთვის თავის დადება, რამეთუ მამულს გმირი კვლავაც დაეხადება, როგორ იქნება! ალგეთმა თუ ლეკვი არ ზარდა, რომელიც მომხდურს ჩასაკაფად დაექადება!!! მინას შევნოდი, ვალს უხდიდი ზეცას ლამაზად, ცრემლის მტკვარს ღვრიდი, აჩქეფებდი სისხლის ალაზანს, და თუ ქართველი არ იქნება ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი, სამოც ჩაშლია დედამინას — ბებერ ავაზაკს! და თუ ქართველი არ იქნება საქართველოში, სხვა მოიბრუნებს სულს ქართული მუხის ჩეროში, მაშინ ხორციდან სულიც ხანჯლად ამომიწვდია, და დამიჭრია მტერი ჭირით უსაშველოთი! შენ რომ გაივლი, ის ადგილიც ჩემი ღვიძლია, ცოცხალი ვინ ჩივის, ასე მკვდარსაც არ შემიძლია, იმედს ვიტოვებ, რომ ერთხელაც დავაგუგუნებ: აღსრულდა, ძმანო! ნათელისგან ბნელი იძლია!!!!!!!!!!!!



დაიუთი

იკო ხეცურიანი

ბელადი

გურამ დოჩანაშვილს

I
 ივლისის ერთ ჩვეულებრივ დღეს მასაის ტომი ზეიმობდა. კოცონის გარშემო დიდი ჟრიაში იდგა, მამაკაცები მიზანში სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, დედაკაცები კი კოცონთან ტრიალებდნენ და უცნაურ, ორთქლავარდნილ კერძს ევლებოდნენ თავს.

ტომი ბელადის დღეობას აღნიშნავდა. თუმცა დღის გმირი არსად ჩანდა, იგი საკუთარ კარავში იყო და გონებაში ნადავლს ითვლიდა: იმისთვის, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ, კიდევ ორი სოფელი მაინც უნდა დაერბიათ. არადა, ამ მხარეში უკვე გავარდნილი იყო მათი ამბავი და ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ. სოფელს ვეღარ შეუტევდნენ, რამე სხვა უნდა მოეფიქრებინათ.

ბელადი ფიქრს მისცემოდა. როცა კარავში მისი ტომის ერთ-ერთი წევრი შევიდა, ის თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვა.

— ბელადო, ვხვდები, რატომაც არ ხართ ჩართული საერთო მხიარულებაში, სოფლებს ვეღარ დავარბევთ, საკვების პრობლემა დაგაფიქრათ, არა ?

— ეს არ არის შენი საქმე, — განრისხდა ბელადი, — როგორ ბედავ ჩემს საქმეებში ჩარევას, ლაშქრობის დაგეგმვა ჩემი საქმეა.

— ნუ ბრაზობთ, ბელადო, უბრალოდ, მინდა გაცნობოთ, რომ მთის გადაღმა ბოშათა ბანაკი ცხოვრობს, ისინი ნაკლებად დაცულნი არიან, ვიდრე — სოფლები.

— გაეთრიე კარვიდან და აღარ გაბედო ჩემთვის ჭკუის სწავლება, — კბილებში გამოსცრა ბელადმა.

II

ზაქიძის მეორე დღეს ბელადი ყვირილმა გააღვიძა. ტომი პანიკას მოეცვა, მათი ერთ-ერთი თანამებრძოლი მკვდარი იპოვეს საკუთარ კარავში. ბელადმა ტომს დამშვიდება უბრძანა, შემდეგ კი გვამის დამარხვის განკარგულება გასცა.

— ის მამაცი და სამაგალითო მეომარი

იყო, — თქვა მან გვამის დასაფლავებისას, — ბრძოლებში ყოველთვის გვიჩვენებდა თავდადების მაგალითს. მისი ხსოვნის საპატივცემულოდ ხვალ დავარბევთ ბოშათა ბანაკს, რომელიც ამ მთის გადაღმა ცხოვრობს.

მთელი ტომი შეშფოთებული უყურებდა — მათ ჯან-ლონით სავსე თანამებრძოლს დაავადება ვერ მოკლავდა. კარგად იცნობდნენ ბელადს, როგორც ჩანს, ცხოვრებულმა მას აწყენინა.

III

ბოშათა ბანაკი შემოსევას არ ელოდა. ტომი კარგებს არბევდა და ყველაფერს იღებდა. ბოშები გარბოდნენ, უკან ისრები მისდევდათ. ბელადი ოთხ თანამებრძოლთან ერთად ერთ-ერთ კარავში შეიჭრა. ოჯახის უფროსი წასული იყო. ახალგაზრდა კაცი გაუძალიანდათ. ბელადმა ბრძანა, დაეხათ. ის ალტყინებული იყო, თვალები უელავდა, თანამებრძოლები პირველად არ ხედავდნენ ასეთს. ოჯახის სხვა წევრები, ყმანვილის დედა და და, ბელადმა დაახოცინა. ამას ყმანვილიც უყურებდა. ბელადი მასთან მივიდა და გამაგებით ჩასცა მახვილი გულში. ახალგაზრდამ, სანამ მოკვდებოდა, ჩაიჩურჩულა:

— შენ დანყველილი ხარ, მოკვდები სავსემთვარობისას, შენ მოგკლავს ჩემი აჩრდილი, ეს გარდაუვალია, შენს ბედს ვერსად გაექცევი.

IV

ტომი კარგად ცხოვრობდა, სოფლებს არბევდნენ და დიდძალი ნადავლიც იგდო ხელთ. მათ ვერავინ უწევდა წინააღმდეგობას, მათი ყველას ემინოდა. ყველას გასაოცრად, ბელადი ძველებურად აღარ იღებდა მონაწილეობას შეტაკებებში, თავისი კარვიდან თითქმის არასდროს გამოდიოდა, არადა, წინათ ყოველთვის გამაგებით იბრძოდა. ის ბევრად უკარება გახდა, ვიდრე იყო. ტომი ფიქრობდა, რომ ბელადი სამოქმედო გეგმას ადგენდა, ის კი კარავში იჯდა და უსასრულოდ ფიქრობდა. ცოტას ჭამდა და ცოტას ლაპარაკობდა. რაღაცა იდუმალზე ფიქრს მთლიანად მოეცვა მისი პიროვნება.

V

სავსემთვარობა მასაის ტომისთვის დიდი დღესასწაული იყო, ამ დღესასწაულს განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ. ბელადი



დი ადრე იჭერდა თადარიგს და სამზადისსაც უძღვებოდა. ახლა კი არაფერი უთქვამს. ტომიდან ვერავინ გაბედა, მისთვის რაიმე ეკითხა. ტომი შეშფოთდა — მათი უძლეველი, მამაცი და ჭკვიანი ბელადის თავს რაღაც ხდებოდა: ძველებურად აღარ გასცემდა ბრძანებებს, არ სჯიდა ხალხს. მართალია, ეს ტომისთვის დიდი შეღავათი იყო, რადგან ბელადი ხშირად მეტისმეტად მკაცრი იყო, მაგრამ ტომი მიეჩვია მის სისასტიკეს და ძალიანაც უყვარდა. ამ ყველაფერს სავსემთვარობის დღესასწაულის აღწინასწაობაც დაემატა.

VI

სავსემთვარობის ღამეს მოხდა ისეთი რამ, რამაც ტომი განაცვიფრა: ბელადმა ბრძანა, მის კარავთან ეყარაულათ. ვერავინ გაბედა რამის თქმა, მაგრამ ეს მთელი ტომისთვის დიდი შოკი იყო. წინათ ბელადს არათუ საკუთარი კარვის, ნადავლის ყარაულობაც არ მიაჩნდა საჭიროდ. ბნელი ღამე იყო, კარავს გამორჩეული მეომრები ყარაულობდნენ. ყველა განცვიფრებული იყო ბელადის ახირებით, მაგრამ ვერაფრის თქმას ბედავდნენ. მათ ესმოდათ, როგორ მიმოდინოდა კარავში ბელადი და ბუტბუტებდა:

— სისულელეა. როგორც ჩანს, მხდელი გავხდით. რამდენი მომიკლავს, რატომ შემაშინა ასე ბოშას ნათქვამმა, წყევლას, აბა, რა ძალა აქვს. მეონი, ვბერდები, ყველა ბოშას ხომ არ აქვს წინასწარმეტყველების ნიჭი. ეს უბრალოდ იმ ბიჭის სურვილი იყო, არაფერი მოხდება.

VII

შუალამისას ყარაულებმა შორს ჩრდილი შენიშნეს, რომელშიც გამოიკვეთა მაღალი, ნიღბოსანი, მოსასხამემოხვეული ფიგურა. ის ბელადის კარვისკენ მიინევიდა. მათ ელდა ეცათ და თმა ყალყზე დაუდგათ, მაგრამ აჩრდილს მამაცურად დაუხვდნენ ხმლებით. ნიღბოსანი გასაოცარი ძალის პატრონი აღმოჩნდა, მას მთელი ტომი ებრძოდა და ვერაფერს აკლებდა, ისრები თითქოს ქვას ხვდებოდა. ჭრილობებს არად ადებდა, მრავალი მათგანი დახოცა. კარვიდან ჩამიჩუმე არ ისმოდა. ბოლოს ერთ-ერთმა მეომარმა შეძლო და სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. აჩრდილმა ერთი ამოიგმინა და განგმირული დაეცა.

VIII

ღამე სიჩუმეს მოეცვა. ნიღბოსანი მკვდარი ეგდო. ბელადის კარავში ჩრდილი არ

მოძრაობდა. მეომრები მის კარავში შევიდნენ და სირცხვილისგან ელდა ეცათ: მათი მამაცი ბელადი გაქცეულიყო. კარავში არაფერი ყოფილა არეული, ბელადი მშვიდად გასულიყო, როგორც ჩანს, ნიღბოსნის გამოჩენისთანავე მოუკურცხლავს. ტომი დაიბნა, ეს დიდი მოულოდნელობა იყო, ისინი უბელადოდ დარჩნენ.

IX

ბვამს არავინ უახლოვდებოდა, მაგრამ ყველას მისკენ გაურბოდა თვალი. მიახლოებას ვერ ბედავდნენ, მაგრამ თავზარდაცემულები ფიქრობდნენ: რა იყო ის ძალა, რამაც ასე შეაშინა მათი მამაცი ბელადი. ბოლოს მთელმა ტომმა გვამის გარშემო მოიყარა თავი. ყველა დუმდა და განძრევას ვერავინ ბედავდა. გვამი ეგდო, წვიმა ნიღბიან სახეს ეცემოდა. სიჩუმეს მხოლოდ წვიმის ხმა არღვევდა, კოცონი ჩაქრა, მაგრამ კერიისთვის არავის ეცალა. გვამი თითქოს მაგნიტი ყოფილიყო, ვერავინ შორდებოდა მას. ბოლოს, თითქოს მთელი მარადისობის გავლის შემდეგ, მათ შორის ყველაზე მამაცი მეომარი მივიდა და გვამს ნიღბი მოხსნა.

X

ღამის სიჩუმეში ქვემეხის ხმასავით გაისმა ასამდე ადამიანის შემზარავი შეკვივება. მთელ ტომს თითოს ძარღვებში სისხლი გაეყინა, ბევრს გულიც წაუვიდა. სხვები შეუჩერებლად კოდნენ. კაცები, მეომრები, ერთ-ერთი უსასტიკესი ტომის გამორჩეული მებრძოლები კოდნენ. გარშემო სოფლებამდე აღწევდა მათი ხმა. სოფლებიც შეშინდნენ და სახლები დატოვეს, გაიქცნენ. მათ იმის გაფიქრებაც აშფოთებდათ, თუ რა იყო ისეთი საზარელი და ავებედიოთ, რამაც მასაის უსასტიკესი ტომი შეაშინა.

XI

წილ-წილად ყველაფერი მიწყნარდა. მალე მდუმარებას კვლავ მხოლოდ წვიმის ხმა აღღვავდა. ტომს ისევ გვამთან მოეყარა თავი, თითქოს არც დაუძრავთ ადგილიდან ფეხი. ელვა მათ შეშფოთებულ, შეშინებულ სახეებს ანათებდა. მთელ მასაის ტომს ერთ ადგილას მოეყარა თავი და ასე წყვილი თვალი დასცქეროდა, თუ როგორ იწვა მათ წინაშე გაყინული, მკვდარი მათივე ბელადი...



გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 7 ივნისს

ლიტერატურული გაზეთი
 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
 საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახიძე**
 რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
 ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com